# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 30 ოქტომბერი 2007 №251 (3174) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოუშვით პუტინი!

## მიხეილ სააკაშვილმა მომავალი მასწავლებელი ღირსების ორდენით დააჯილდოვა






გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მინსკიდან ტრიუმფით დაბრუნებული ძიუდოისტთა ნაკრები კანცელარიაში მიიღო და ღირსების ორდენებით დააჯილდოვა. პრეზიდენტმა ევროპის ჩემპიონებს გამარჯვებაც მიულოცა და მადლობაც გადაუხადა. ევროპის ჩემპიონთა თავკაცმა შოთა ხაბარელმა კი მიხეილ სააკაშვილი კიმონოთი დაასაჩუქრა, რასაც ჩვენი ქვეყნის პირველმა პირმა სპორტულ-პოლიტიკური ხუმრობით უპასუხა: „მე მყავს კოლეგა, რომელიც სპორტის ამ სახეობითაა გატაცებული. . მართალია, მასთან მშვენიერი შედეგები გვაქვს სხვადასხვა სფეროში, თუმცა ახლა კარგი იქნება, ძიუდოშიც თუ გავეჯიბრები და ამისთვის თქვენთან ცოტა წავარჯიშება დამჭირდება".

# ევროპის ჩემპიონები თბილისში დაბრუნდნენ





# სენეგალი პარიზში

## ჩვენები კონტრაქტს დღეს წაიკითხავენ

**ჩვენი** ეროვნული გუნდი ევრო 2008-ის ბოლო შესარჩევ მატჩს, მოგეხსენებათ, 21 ნოემბერს თბილისში ლიტვასთან გამართავს. სანაკრებო თამაშებისთვის 17 ნოემბერიც ფიფასგან ნებადართული თარიღი არის და ვინაიდან საქართველოს შესარჩევ ჯგუფში სწორედ 17-ში აქვს ფანჯარა, შესაძლებელია ამხანაგური მატჩის ჩატარება.

ბოსნია, სენეგალი და იორდანია — აი, ის გუნდები, ჩვენებს 17 ნოემბერს ამხანაგური მატჩის გასამართად მოლაპარაკება რომ აქვთ. ბოსნია-იორდანიის შესაძლო მეტოქეობაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით, აი, სენეგალიდან კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია პასუხს დღეს ელის — აფრიკელებმა ჩვენებს კონტრაქტის საბოლოო ვარიანტი უნდა გამოუგზავნონ და ყველაფერი ამის შემდეგ გადაწყდება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სენეგალელებს, ცხადია, გარკვეულ პირობებს სთავაზობს და თუ ისინიც ყაბულს იქნებიან, პარიზში სენეგალი — საქართველო შედგება.

კარგი ვარიანტია და ვნახოთ...

**კობა ინასარიძე**

# რაზე შეთანხმდებიან ტოპი და ლაუტერნი?



**კლაუს** ტოპმიოლერი გერმანიაში ჩავიდა და „კაიზერსლაუტერნის" ხელმძღვანელებს ესაუბრა, თუმც შეთანხმება არ მოხდა — ჰერ კლაუსმა სურვილი გამოთქვა, თავის მშობლიურ კლუბს სპორტული რჩევებით დახმარებოდა, ანუ უხელფასოდ, საზოგადოებრივ საწყისებზე ემუშავა. „კაიზერსლაუტერნმა" კი საქართველოს ნაკრების თავკაცს ოფიციალური პოსტი შესთავაზა დირექტორთა საბჭოში.

რას გადაწყვეტენ „ლაუტერნის" შეფები, დევიდ ბუგხოლცი და ერვინ გებელი, ჯერ უცნობია. კაცმა რომ თქვას, უარი რატომ უნდა თქვან, გუნდის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირისგან და გამოცდილი მწვრთნელისგან „უფასო რჩევები" მიიღონ?

ტოპის ერთ-ერთი რჩევა კი უგუნდოდ მყოფი ლევან ცქიტიშვილის აყვანა იყო — ვნახოთ, შეიმატებს თუ არა „კაიზერსლაუტერნი" ქართველ ნახევარმცველს იანვარში.

ისე, მეორებუნდესლიგელი „ლაუტერნი" შავ დღეშია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ტურში აუე-ს 2:0 მოუგო, ტოპმიოლერის მშობლიური კლუბი კვლავ გასავარდნ ზონაში ტრიალებს.

**ილია ნანობაშვილი**

# თვალი თვალი


„ლოკომოტივი" — „მერანი" 0:2

რა თქმა უნდა საამაყოა, შენი კაცი რომ გყავს ეროვნულ ნაკრებში და ამ სიამაყის გამოხატვის ბევრი ფორმაც არსებობს. ოღონდ ეს ფორმა პირდაპირი გაგებით ფორმის განურჩევლად ყველგან ტარებაში არ უნდა აისახოს.

სანაკრებო ფორმის ჩაცმა ნაკრების თამაშისას არის სავალდებულო. კიდევ, ქუჩაში შეიძლება ჩაიცვა, მაგრამ არა საკლუბო მატჩისას.

ვფიქრობთ, უხერხულია, როცა „მერანის" მეკარე რევაზ თევდორაძეს მერანული ფორმა არ აქვს (ან აქვს და არ იცმევს) და ჩემპიონატის მატჩში ნაკრების ფორმით თამაშობს...

# 90 წუთისთვის მზად ვარ

## მუჯირი საუკეთესოდ შეფასდა

სამარის „კრილია სოვეტოვი" რუსულ პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის და ბოლო ტურში მოსკოვში ცსკა-ს დიდი ბრძოლა გამოუცხადა — არმიელებს ორი გოლი გაუტანა, აქედან ერთი დავით მუჯირისაა. თუმცა ამან სამარელებს ვერ უშველა — 2:4. მუჯირი კი გუნდის მთავარმეგოლეა — მას უკვე შვიდი ბურთი აქვს გატანილი. მოსკოველებთან მატჩში მუჯირი მოედანზე 43-ე წუთზე გამოჩნდა, თუმც ეს საკმარისი აღმოჩნდა, რუს ჟურნალისტებს სამარელთა საუკეთესო მოთამაშედ დაესახელებინათ...



— როგორი თამაში იყო?

— პირველ ტაიმში სამი ბურთი გავუშვით, მეორე უკეთესად ჩავატარეთ, ძალიან ბევრი საგოლე მომენტიც გვქონდა. სამწუხაროდ, მხოლოდ ორის გამოყენება მოვახერხეთ. ცსკა ძლიერი გუნდია და მათთან ასეთი თამაში დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს — დაცვაში თუ უფრო მეტი ყურადღებით ვითამაშებთ და შეტევაში ისეთივე აგრესიულები ვიქნებით, როგორიც ცსკა-სთან მეორე ტაიმში, საჭირო ქულების დაგროვება არ უნდა გაგვიჭირდეს.

— მწვრთნელმა თუ გითხრათ, რატომ არ დაგაყენათ ძირითად შემადგენლობაში?

— კრასნოდარში მიღებული ტრავმის შემდეგ არ მივარჯიშია, ამის გამო სანაკრებო მატჩებიც გამოვტოვე. „რუბინთან" მხოლოდ ბოლო წუთზე შემიშვა სათამაშოდ, ცსკასთან კი ნახევარზე მეტი ვითამაშე. სასტარტოში დაუყენებლობას კი უფრო იმას მივაწერ, რომ „რუბინთან" გუნდმა 3:0 მოიგო, გამარჯვებულ შემადგენლობას კი მწვრთნელი იშვიათად ცვლის. ეს ჩემი პირადი აზრია. ისე კი, ვფიქრობ, ცსკა-სთან ცუდად არ მითამაშია, გოლიც გავიტანე და 1:3-ზე უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით, თუმც ვერ გამოვიყენეთ და მეტოქეც დავასაჩუქრეთ.

— ალექსანდრ ტარხანოვმა თქვა, რომ ორი ტაიმისთვის მზად არ ხართ...

— ერთი კვირის წინ ასეც იყო, მაგრამ ახლა ნორმალურად ვარ და 90 წუთი თამაში შემიძლია. ეს, მგონი, ცსკა-სთანაც დავამტკიცე.

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

## პირველი ლიგა. 11 ტური

### აღმოსავლეთი

ოლიმპი 2 1:0 კახეთი
ამერი 2 1:4 ვიტ ჯორჯია 2
გაგრა 1:1 მეშაქრე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 11 | 6 | 4 | 1 | 21:16 | 22 |
| მეშაქრე | 11 | 6 | 2 | 3 | 22:15 | 20 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 11 | 5 | 4 | 2 | 16:7 | 19 |
| დინამო 2 | 9 | 4 | 3 | 2 | 16:10 | 15 |
| ოლიმპი 2 | 10 | 4 | 3 | 3 | 12:8 | 15 |
| ჩიხურა | 11 | 4 | 3 | 4 | 11:15 | 15 |
| ამერი 2 | 11 | 4 | 2 | 5 | 17:20 | 14 |
| ოლიმპიკი | 11 | 3 | 3 | 5 | 15:18 | 12 |
| კახეთი | 11 | 3 | 3 | 5 | 12:15 | 12 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 10 | 0 | 1 | 9 | 7:25 | 1 |

### დასავლეთი

ტორპედო 2:0 მეშახტე
მარტვილი 1:0 ზესტაფონი 2
სამტრედია 0:1 უნივერსიტეტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 11 | 9 | 2 | 0 | 26:8 | 29 |
| მარტვილი | 11 | 6 | 3 | 2 | 12:6 | 21 |
| მეშახტე | 11 | 7 | 0 | 4 | 19:20 | 21 |
| ტორპედო | 10 | 4 | 3 | 3 | 16:12 | 15 |
| კოლხეთი | 11 | 3 | 4 | 4 | 14:15 | 13 |
| უნივერსიტეტი | 11 | 4 | 1 | 6 | 8:10 | 13 |
| ხობი | 11 | 3 | 3 | 5 | 13:18 | 12 |
| ზესტაფონი 2 | 9 | 3 | 2 | 4 | 12:9 | 11 |
| ფაზისი | 10 | 2 | 2 | 6 | 15:21 | 7 |
| სამტრედია | 11 | 1 | 2 | 8 | 10:26 | 5 |

### ინგლისი

ჩემპიონატი
XIII ტური
კრ. პალასი 0:2 უოტფორდი

### იტალია

სერია C/B
XI ტური
პისტოიეზე 0:1 სორენტო

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XIII ტური
ნიორი 0:1 ნანტი

### პორტუგალია

სუპერლიგა
VIII ტური
ნავალი 1:1 ბრაგა
პორტუ 3:0 ლეიშოეში

### დანია

სუპერლიგა. XIV ტური
ოლბორგი 2:0 ესბიერგი

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XI ტური
ლიბერეცი 1:1 სლავია

### სლოვაკეთი

I ლიგა. XIV ტური
ტრნავა 2:1 ნიტრა

### მექსიკა

აპერტურა. XIV ტური
ამერიკა 2:1 გვადალახარა

### ჩილე

კლაუსურა. XVI ტური
აუდაქსი 2:0 ო ჰიგინსი



# გული მწყდება, მაგრამ... წინამძღვრიშვილის სულიერი სიძლიერე

ახალი სეზონი ძალიან არასტაბილურად დაიწყო თბილისის „ამერმა“. ეროვნულ ჩემპიონატში ათ შეხვედრაში ოთხი მარცხი იმ გუნდისთვის, რომელიც სეზონის წინ ჩემპიონობაზე ფიქრობდა, მეტისმეტია. ამ წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ისიცაა, რომ სეზონის დასაწყისში ორი პერსპექტიული თავდამსხმელი — ბესიკ ჩიმაკაძე და რატი წინამძღვრიშვილი დაშავდნენ. წინამძღვრიშვილმა ჩეხეთში მეორე ოპერაცია გაიკეთა და ჩვენც პირველად ამაზე ვკითხეთ...

— მეორე ოპერაციამაც კარგად ჩაიარა, როგორც თავად პროფესორმა ვანეჩეკმა მითხრა, არანაირი გართულება არ ყოფილა.

— ფეხის ტკივილი ხომ არ გაწუხებს?

— ტკივილები აღარ მაქვს და უკვე ყავარჯნების გარეშეც შემიძლია სიარული. მალე ტრენაჟორებზე ვარჯიშს დავიწყებ და აუზზეც ვივლი. ექიმმა რაც დამავალა, ყველაფერს ვაკეთებ და იმედი მაქვს, ნელ-ნელა მუხლი მომიშუშდება.

— ჯერ ამაზე ლაპარაკი ადრეა, მაგრამ მაინც: სრული დატვირთვით როდის შეძლებ ვარჯიშს?

— ვანეჩეკმა კატეგორიულად მითხრა, რომ თუ გინდა, გამოჯანმრთელდე, ექვს თვეზე ადრე დიდი დატვირთვები არ მიიღოო და მეც სხვა რა გზა მაქვს, უნდა დაველოდო. ალბათ, აპრილისთვის მწყობრში ვიქნები.

— ტრავმა ივლისში მიიღე და ალბათ ძალიან გიძნელდება, ტრიბუნიდან რომ უყურებ და შენს გუნდს ვერ ეხმარები...

— ფეხბურთელისთვის ამაზე დიდი ტანჯვა არ არსებობს, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის. ერთი სული მაქვს, როდის დავბრუნდები მოედანზე, რათა ჩემი საყვარელი საქმე გავაგრძელო. გული მწყდება, კარგ ფორმაში რომ ვიყავი და ასეთ დროს საშინელი ტრავმა მივიღე, თუმც ვცდილობ, სულიერად გავძლიერდე. ახლა ორმაგი შემართებით ველი გამოჯანმრთელებას. ყველაფერს გავაკეთებ, რათა ფორმა აღვიდგინო და ავთამაშდე.

**ნუკრი ლოლაძე**

# ფეხბურთი ძალიან მომენატრა

## ჩიმაკაძე კონკურენციაზე კი არა, გამოჯანმრთელებაზე ფიქრობს

4 ივნისი თბილისის „ამერისა“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელ ბესიკ ჩიმაკაძისთვის უიღბლო გამოდგა — სანაკრებო ვარჯიშისას ფეხი მოიტეხა და აგერ უკვე ხუთი თვეა, უქმობს. ჩიმაკაძე ვარჯიშს შეუდგა, თუმც დატვირთვებს ერიდება, ბურთთან კონტაქტის უფლებას კი ექიმები ჯერაც არ აძლევენ...



— მოგენატრა ფეხბურთის თამაში?

— ძალიან. ხუთი თვეა, არ მითამაშია...

— ექიმები რას გეუბნებიან?

— მსუბუქი ვარჯიში უკვე დავიწყე, ექიმების რჩევით, სრულად ერთ თვეში დავიტვირთები. ტრენაჟორებზე კი მაშინაც ვვარჯიშობდი, როდესაც ფეხი თაბაშირში მქონდა.

— შენს ასაკში ხუთი თვის გაცდენა ძალიან ბევრია. როგორ ფიქრობ, სასურველ ფორმას როდის დაიბრუნებ?

— ექიმების რჩევას ვითვალისწინებ. ვიცი, რისკი სასიკეთოს არაფერს მოიტანს, ამიტომ არც მე ვჩქარობ. მთავარია, ფეხმა გამიშვას და ფორმის აკრეფის არ მეშინია. „ამერში“ კი ყველაფერია იმისთვის, რათა ფორმა მალე აღვიდგინო.

— „ამერის“ თავდასხმაში სერიოზული კონკურენციაა, გოცირიძე-დავითაშვილი-ტატანაშვილი, ამას დავუმატოთ ტრავმირებული ჩიმაკაძე-წინამძღვრიშვილი... გამოჯანმრთელების შემდეგ კონკურენციის არ გეშინია?

— გუნდში კონკურენცია რომ არის, ეს „ამერისთვისაა“ სასარგებლო და თითოეული ფეხბურთელისთვის მისაღები უნდა იყოს. ჯანსაღი კონკურენცია გუნდისთვის უფრო სარგებლიანია და ყველა ჩვენგანმა ეს იცის. მთავარია, გუნდმა შედეგი აჩვენოს და ამაში ვისი წვლილი მეტი იქნება, მნიშვნელობა აღარ აქვს. რაც შეეხება კონკურენციას, ვინც უკეთეს ფორმაში და ღირსი იქნება, მწვრთნელი მას ათამაშებს.

— „ამერს“ საამაყო ნამდვილად აქვს — ახალი ჩამოყალიბებული გუნდისთვის ორჯერ ზედიზედ თასის მოგება პატარა ამბავი არ არის, მაგრამ ჩემპიონატში ისე ვერ გამოიყურება, როგორც საჭიროა — წლეულსაც მძიმედ დაიწყო...

— ეს ფეხბურთია და ყველაფერი ხდება — ყველა მატჩს ვერავინ იგებს. თუ ახლა „ამერს“ პატარა ჩავარდნა აქვს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ წინა წლებთან შედარებით უარესად გამოვიყურებით...

— სანაკრებო თემასაც შევეხებით. ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელობა თუ გიკავშირდება?

— პეტარ სეგრტი ხშირად მეხმიანება, ყურადღებას ნამდვილად არ მაკლებს. ერთი სული აქვს, გაიგოს, ვარჯიშს როდის დავიწყებ.

— ამასობაში კი ნაკრებმა ელიტრაუნდში თამაშის შანსი დაკარგა...

— ახალგაზრდულ ნაკრებს ცუდი თამაშები არ ჩაუტარებია, ყაზახებთან მატჩი კი, არ მინახავს და რა მოხდა, ვერ გეტყვით. ფაქტია, ყაზახებთან 1:4 წაგება მოსაწონი ნამდვილად არ უნდა იყოს გულშემატკივრებისთვის.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი




ფავორიტმა ინგლისმა სარმა სლოვაკეთსაც გამოსძლო

რუსთავი. 29 ოქტომბერი. 12 საათი. ფოლადი. 200 მაყურებელი

**საქართველო 0:3 რუსეთი**

0:1, 0:2 კოლტაკოვა (4, 55), 0:3 ანანიევა (80)

**საქართველო:** ჩაბაშვილი, პასიკაშვილი, ხვედელიძე, ჯოხაძე, სუთიძე, ლომიძე, ლეკვეიშვილი (კოჭლამაზაშვილი 80), დიასამიძე, თათუაშვილი, ტოკლიკიშვილი, სალუქვაძე

**მწვრთნელი:** მაია ჯაფარიძე

**რუსეთი:** შიზოკოვა, ანანიევა, შეიკინა, ფროლოვა (აკიმოვა 60), გასპარიანი, კალაჩევა, მატიუშინა, ჟიასტინოვა, მაკაროვა (აბოზოვიჩუტე 41), კოლტაკოვა, კუჩერენკო (ზინოვიევა 15)

**მწვრთნელი:** ვლადიმირ ანტონოვი

**გაფრთხილება:** მაკაროვა, ტოკლიკიშვილი, გასპარიანი, ჯოხაძე, სუთიძე

**მსაჯები:** დ. ჟელევა-ტერზიევა; ე. მარინოვა (ორივე ბულგარეთი), ს. გოგოუ; ე. კასკანტირი (ორივე საბერძნეთი)

თბილისი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. მიხეილ მესხი. 100 მაყურებელი

**ინგლისი 3:1 სლოვაკეთი**

1:0 ნობსი (5), 1:1 შკორვანკოვა (24), 2:1 ნობსი (31), 3:1 პიტმენი (53)

**ინგლისი:** დრეიკოტი, დელი, მარში, ჰოლბრუკი (კოომბსი 62), როუზი (კოული 70), ჯეინი, ნობსი, ოსბორნ-რიკეტსი, უილტშეირი, პიტმენი, კრისტიანსენი

**მწვრთნელი:** საიმონ რაიტი

**სლოვაკეთი:** პაიონკოვა, ჰორნაკოვა, კუპეჩკა, კლიშკა, ბიროვა, სტეფანოვა, შკორვანკოვა, მაშლეიოვა, ვოიტეკოვა, რანდოვა, ჩუბაკოვა

**მწვრთნელი:** კატარინა პაქსნეროვა

**მსაჯები:** კ. ბანგო; ს. მიტერლეხნერი (ორივე ავსტრია); ლ. გახოკია; ლ. სილაგავა (ორივე საქართველო)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 16:1 | 6 |
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| სლოვაკეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:16 | 0 |

## საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა — I წრე. 10 ტური

# დაელოდეთ მომდევნო ტურს
## ფავორიტები 12 ფეხბურთელს მოერიდნენ

ვინც მომგები იყო, მოიგო: მარტივად, ასე შეიძლება შეფასდეს მეათე ტური, რომელიც რაღაცნაირად ღარიბი სანახავი იყო — ცხრილის ზედა ნაწილში ყველაფერი უცვლელი დარჩა. აუტსაიდერთა ზონაში კი ცოტა რამ შეიცვალა. ახალციხე პირველადაა წარმოდგენილი უმაღლეს ლიგაში, ზუგდიდი კი კარგა ხნის შემდეგ დაბრუნდა. ამ ქალაქების გუნდებმა დიდი რიხით ვერა, მაგრამ დებიუტანტის კვალობაზე მართლაც კარგი სტარტი აიღეს. რაც ძალიან სასიამოვნოა, მესხეთშიც და სამეგრელოშიც გულშემატკივარი ბლომად დადის და, შესაბამისად, სტუმარ გუნდებს უჭირთ თამაში...

მგლები 0:1 ამერი
ზესტაფონი 2:0 სპარტაკი
დილა 0:0 ბორჯომი
ვიტ ჯორჯია 4:1 ბათუმი
ლოკომოტივი 0:2 მერანი
მესხეთი 0:2 დინამო
ოლიმპი 1:0 სიონი

ახლა კი ისე მოხდა, რომ ახალციხეშიც და ზუგდიდშიც ფავორიტები ჩავიდნენ, თუმც „მეთორმეტე ფეხბურთელმა" არ გაამართლა — ფავორიტმა სტუმრებმა იმარჯვეს.

„დინამოს" მხოლოდ საწყის 20-25 წუთში გაუჭირდა „მესხეთთან", მაგრამ მერე ამოქმედდნენ და 17-წუთიან მონაკვეთში ორი „უცხოური" გოლი შეაგდეს: კვლავ გაიტანა ჩერნიგორიელმა ილია სპასოევიჩმა, რომელიც წინა სეზონში სანდრო იაშვილის სათადარიგო იყო და იშვიათად ეძლეოდა თამაშის შანსი, მაგრამ დუშან უჰრინმა სლავს ახალი ამპლუა მოუძებნა — გარემარბი. ილიასაც გააქვს და გააქვს, იშვიათად, უგოლოდ დაშვრეს და დღეს მის გარეშე „დინამო" თითქოს წარმოუდგენელია.

სპასოევიჩს გაბონელი ჩქაროსანი ჟორჟ აკირემიც აჰყვა, მეორე ბურთი მან გაიტანა და „დინამომ" საჭირო სამი ქულა წაიღო მესხეთიდან.

ინციდენტის გარეშეც არ ჩაუვლია ახალციხურ მატჩს, რაკილა აკირემის გოლისას მასპინძელთა მეკარე გიორგი სომხიშვილი აღშფოთდა, ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთიაო. სომხიშვილი გააძევეს, რასაც ქომაგთა გულისწყრომა მოჰყვა, ერთ-ერთი მათგანი მავთულღობეს გადაახტა და მსაჯისკენ იწევდა, თუმც პოლიციამ დააკავა.

საერთოდ, რეგიონებში მსაჯობა ძნელია — საქართველოს პირველი ჩემპიონატიდან მოყოლებული ასე იყო და ასე გრძელდება...

ამ ტურში იმასაც მოვესწარით, რომ სტადიონის შესასვლელთან ტევა არ იყო. ეს ზუგდიდში, სადაც „მგლები" — „ამერის" თამაშს 4000 გულშემატკივარი დაესწრო და ბოლომდე უერთგულა მასპინძლებს, მაგრამ ხასიათი დებიუტშივე წაუხდათ, რაკილა გლდანელთა კაპიტანმა გიორგი დავითნიძემ თავური დაჰკრა და, როგორც აღმოჩნდა, მატჩის ეული გოლი შეაგდო.

„ამერი" სეზონში პირველად ავიდა მეოთხე ადგილზე, მაგრამ ვაი, რომ პირველ-მეორე საფეხურამდე ჯერაც ბევრი აშორებს.

პირველადგილოსანმა კი იოლად მოიგო. „ზესტაფონი" უკვე 23-ე წუთზე 2:0-ს უგებდა „სპარტაკს" და არანაირი ეჭვი, რომ სამი ქულა სასწორზე შეეგდო. კვლავ გაიტანა გიორგი ნოდარის ძე ჭელიძემ, თანაც სეხნია-მოგვარის, ნუგზარის ძის პასით.

და, ხომ იცით, რა თამაშია მომდევნო ტურში? „დინამო" — „ზესტაფონი". აქ წყდება ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ მაინც...

„ვიტ ჯორჯია" ერთადერთია, ტურში დიდი ანგარიშით რომ მოიგო, თუმც მეტოქეც ისეთი ჰყავდა, რომ...

„ბათუმი" ნელ-ნელა მიიწევს პირველი ლიგისკენ, ვიტელებს კი, ეტყობა, სამმატჩიანი ჩავარდნა უკან დარჩათ — მყარად დგანან მესამე ადგილზე.

მარცხი მოუვიდა „სიონის" მეკარე ზვიად სტურუას: ეროვნულ ნაკრებში გამოძახებულმა კაცმა ბოლო წუთებზე საკუთარ კარში გაიტანა და „ოლიმპს" ზღაპარში მოაგებინა. არადა, საფრეო თამაში იყო და ცოტა გვეუცნაურა ოლიმპელთა უკრაინელი თავკაცის, ანატოლი პისკოვეცის მატჩისშემდგომი შეფასება — გუნდი ნელ-ნელა პროგრესირებსო.

და კიდევ, რუსთავულ შეხვედრას კახა ცხადაძემ ტრიბუნიდან უყურა, ნამატჩევს კი „სიონის" გასახდელში ჩავიდა და ბიჭები დაამშვიდ-გაამხნევა. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ცხადაძე ისევ დაუბრუნდება „სიონის" თავკაცობას?

ერთი პატარა სენსაცია კი „მიხეილ მესხზე" გამოცხვა, სადაც „მერანმა" მასპინძელი „ლოკომოტივი" დაჩაგრა. მერანელთათვის ეს მეორე საამსეზონო მოგება იყო, ვაკელები კი, მართალია, ცოტა წინ არიან ცხრილში, მაგრამ აქედანვე ჩანს, რომ არგავარდნაზე უნდა იზრუნონ და სხვა არაფერზე...

ერთადერთი ფრე კი გორში აღინიშნა, სადაც „დილა" მაგრად დაუდგა შოთა გრიგალაშვილითა და შოთა ჯიქიათი თავმომწონე „ბორჯომს".

**ილია ნანოგაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 10 | 9 | 1 | 0 | 20:3 | 28 |
| დინამო | 10 | 9 | 0 | 1 | 26:3 | 27 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 7 | 1 | 2 | 16:8 | 22 |
| ამერი | 10 | 6 | 0 | 4 | 18:10 | 18 |
| ბორჯომი | 10 | 5 | 3 | 2 | 12:6 | 18 |
| მესხეთი | 10 | 5 | 2 | 3 | 12:11 | 17 |
| ოლიმპი | 10 | 5 | 2 | 3 | 9:8 | 17 |
| მგლები | 10 | 5 | 0 | 5 | 10:9 | 15 |
| სიონი | 10 | 3 | 2 | 5 | 12:14 | 11 |
| ლოკომოტივი | 10 | 3 | 0 | 7 | 7:16 | 9 |
| სპარტაკი | 10 | 2 | 2 | 6 | 3:12 | 8 |
| მერანი | 10 | 2 | 0 | 8 | 5:20 | 6 |
| დილა | 10 | 1 | 2 | 7 | 7:18 | 5 |
| ბათუმი | 10 | 0 | 1 | 9 | 3:22 | 1 |

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 6 - | მ. ხუციშვილი | დინამო |
| | ჟ. აკირემი | დინამო |
| | ი. სპასოევიჩი | დინამო |
| | გ. ჭელიძე | ზესტაფონი |
| 5 - | რ. ჯიქია | ოლიმპი |
| | გ. ჭედია | მგლები |
| | დ. ტატანაშვილი | ამერი |
| | შ. ჯიქია | ბორჯომი |
| | ნ. ბელქანიძე | ვიტ ჯორჯია |

### მეთერთმეტე ტური

9 ნოემბერი, პარასკევი
ბორჯომი – ოლიმპი
ბათუმი – მესხეთი
10 ნოემბერი, შაბათი
ამერი – ვიტ ჯორჯია
სპარტაკი – ლოკომოტივი
სიონი – მგლები
11 ნოემბერი, კვირა
მერანი – დილა
დინამო – ზესტაფონი


ამერელები ზუგდიდიდან ტაშით გამოაცილეს



სიმბოლური ნაკრები



# ახალკაცმა სანაკოევის თამაში ნახა

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი 27 ოქტომბერს სამხრეთ ოსეთს ესტუმრა — ვიზიტის მიზანი ოს და ქართველ ვეტერან ფეხბურთელთა შორის ამხანაგური მატჩი იყო.

მატჩი სოფელ აჩაბეთის მინი-მოედანზე ჩატარდა და, საინტერესოა, რომ ორივე ტაიმი ითამაშა სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელმა დიმიტრი სანაკოევმა.

თამაშამდე ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა და დიმიტრი სანაკოევმა სოფელ თამარაშენში მშენებარე სპორტული კომპლექსიც მოინახულეს, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მოედნის კეთილმოწყობაში ნოდარ ახალკაცმა თამარაშენელებს დახმარება აღუთქვა.

**კახა ზალამბერიძე**

# არველაძე ლევანტესთან ერთად იწყებს

**შოთა არველაძე** გუნდთან ერთად ვარჯიშს იწყებს.

ესპანური პრიმერადივიზიონის მაჩანჩალა „ლევანტესთვის" ერთადერთი სასიამოვნო სიახლე ესაა — არველაძე და ნახევარმცველი დავიდ კასტედო კვირის ბოლოდან უკვე ნორმალური დატვირთვით დაიწყებენ ვარჯიშსო.

ეს რაც შეეხება ვარჯიშის განახლებას, ხოლო რაც შეეხება თამაშს, ეს ჯერ ადრეა. თავად შოთამ გვითხრა, სავარაუდოდ, უახლოეს ერთ თვეში ვერ ვითამაშებო.

**ილია ნანოგაშვილი**

# ლიტვაში 3 ქართველი გაჩემპიონდა

**ნუკრი მანჩხავას**, გიგი კვარაცხელიასა და აკაკი ხუბუტიას „კაუნასმა" სამი ტურით ადრე გაინაღდა ლიტვის ჩემპიონობა. ცნობილი ოლიგარქის, ვლადიმერ სიმანოვის კლუბმა ეს ბოლო ცხრა წელიწადში მერვედ მოახერხა.

კაუნასელებმა გასულ ტურში „ჟალგირისს" 5:0 მოუგეს და რაკი მეორეადგილოსანმა „ეკრანასმა" ვერ იმარჯვა და სხვაობა 15 ქულა გახდა, ქართველების გუნდმაც ცინცხალ იზეიმა ჩემპიონობა.

**ილია ნანოგაშვილი**

# ბატი სახლიდან იყურება

## ჩვენც დაგვენახეთ, ბიჭებო!



AFP




**ახლა**, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდა, კარლოს ტევესს უდიადესი არგენტინელი ფეხბურთელის სახელის დაგდებაც შეუძლია — სწამს 90-იანი წლების კაშკაშა ვარსკვლავს, არგენტინის ნაკრების ყოფილ ფორვარდსა და მისი სახელით ყველაზე მეტი, 56 გოლის გამტანს, გაბრიელ ბატისტუტას.

თურმე გაბრიელ ომარ ბატისტუტა ოკეანის გაღმიდან „გამადიდებელი შუშით“ აკვირდება პრემიერლიგასა და ამ ლიგაში მისი თანამემამულის გამოსვლას.

„კარლიტო აშკარად თავისთვის ზედგამოჭრილ კლუბში აღმოჩნდა — ამბობს ზემოხსენებულ ნაკრებში 78-ჯერ ნათამაშევი თავდამსხმელი — და, რაც მთავარია, ის შესაფერ ადგილას შესაფერ დროს მივიდა. უეინ რუნისა და კრიშტიანუ რონალდუს მხარდამხარ მას ნებისმიერი წარმატების მიღწევა შეუძლია. მერწმუნეთ, გაცილებით სჯობია, სხვა დიდ ვარსკვლავსებთან ერთად ითამაშო, ვიდრე შენს გუნდში ყველას სჯობდე და ამით იყო კმაყოფილი. ტევესი გასულ სეზონში „ვესტ ჰემშიც“ საუცხოოდ გამოდიოდა. სწორედ მან დატოვა ლონდონური კლუბი პრემიერლიგაში, მაგრამ იქ მას მარტოს უხდებოდა ძალიან დიდი სამუშაოს შესრულება. ახლა, როდესაც ის „მანჩესტერ იუნაიტედშია“, გვერდით რუნი, გიგზი, რონალდუ, ვიდიჩი და ფერდინანდი ჰყავს, რაც მას მნიშვნელოვნად უიოლებს ცხოვრებას. მერედა, მოდი, ნუ დავივიწყებთ, რომ კარლოს ტევესი ჯერ კიდევ გვარიანად ახალგაზრდა კაცია და „მანჩესტერ იუნაიტედშიც“ სულ რამდენიმე თვის მისული გახლავთ. თავისი ნიჭისა და უნარის სრულიად გასახსნელად დრო დასჭირდება, თუმცა ფაქტია, რომ რასაც აკეთებს, უკვე ფანტასტიკურია. ერთი სიტყვით, კარლოსი მსოფლიო კლასის მოთამაშეა, რომელიც ახალ კლუბში ისეთ გარემოში ჩავარდა, რომ წინ საუცხოო პერსპექტივა აქვს. მას შეუძლია არგენტინის უდიადესი ფეხბურთელი გახდეს“.

38 წლის ბატისტუტა საფეხბურთო მოედანს სამი წლის წინ გამოეთხოვა. მისმა კარიერამ უპირატესად იტალიის სერია A-ში ჩაიარა, სადაც 12 წელიწადი გაატარა და ამ ხნის განმავლობაში 184 გოლი გაიტანა. იტალიაში მისი გუნდები იყვნენ „ფიორენტინა“ და „რომა“.

ბატისტუტა დასძენს: „ინგლისური ფეხბურთის ატმოსფერო ყოველთვის მხიბლავდა. ჩემი კარიერის განმავლობაში მრავალჯერ მიფიქრია პრემიერლიგაში გადასვლა, თუმცა მე რომ საუკეთესო ფორმაში გახლდით, პრემიერლიგა დღევანდელივით განვითარებული არ იყო. მაშინ ინგლისში ჩემპიონობა მხოლოდ ორ გუნდს ხელეწიფებოდა და ეს ამბავი მაინც და მაინც არ მხიბლავდა. დღეს პრემიერლიგაში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა მიდინებაა და „მანჩესტერ იუნაიტედსა“ თუ „ლივერპულს“ სულაც არ აქვთ გარანტია, რომ ყოველ წელიწადს ჩემპიონები იქნებიან. ჩემს დროს არგენტინელები იტალიასა და ესპანეთს აწყდებოდნენ, ტევესი კი, ხომ ხედავთ, „მანჩესტერს“ შეერწყა. ვფიქრობ, სხვა არგენტინელ ვარსკვლავებსაც შეუძლიათ ინგლისში გადასვლაზე ფიქრი“.

როგორც შემოთავაზებული ინტერვიუდან ირკვევა, გაბრიელ ბატისტუტას აღფრთოვანება ინგლისური ფეხბურთით მხოლოდ პრემიერლიგის ჩარჩოებში არ ეტევა. ის სანაკრებო დონესაც სწვდება:

„არგენტინა, ბრაზილია, ინგლისი, იტალია და გერმანია. აი, მსოფლიოს უდიდესი საფეხბურთო ქვეყნები, რომელთა გარეშე რომელიმე დიდი ჩემპიონატის წარმოდგენა საცოდაობაა. არგენტინა და ინგლისი წლების განმავლობაში მტრად მოკიდებული ქვეყნები გახლდნენ, მაგრამ, მერწმუნეთ, ჩვენთან ინგლისის ნაკრების ამჟამინდელი ჩავარდნა არავის სიამოვნებს. მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილიასა და ინგლისთან თამაში სჯობს ისეთ ქვეყნებთან თამაშს, რომელთა შესახებ არავის არაფერი სმენია“.

ცნობისთვის: ბატისტუტამ სანაკრებო კარიერა სწორედ ინგლისის წინააღმდეგ თამაშით დაასრულა. ეს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე სვენ გორან ერიკსონისეულ ინგლისთან 0:1 წაგებისას მოხდა.

დღეს არგენტინის ნაკრები ფიფა-„კოკა-კოლას“ რეიტინგში პირველ ადგილზეა, თუმცა კაცი, რომელსაც ფლორენციაში ძეგლი დაუდგეს, დარწმუნებულია, რომ მისი თანამემამულე ახალგაზრდები თავიანთ ნიჭს ბოლომდე მაინც ვერ ავლენენ.

„არგენტინელების მთავარი პრობლემა ის არის, რომ მთელს ქვეყანაში, ყოველ სოფელსა და ქალაქში საუცხოო მოთამაშეები გვყავს, რომელთა დიდ გუნდებში მოწყობის მექანიზმებს ვერ ვფლობთ. მერედა, როდესაც ისინი მაინც ხვდებიან დიდ კლუბებში, არ იციან, იქ როგორ მოიქცნენ. ბევრი მათგანი რამდენიმე შეხვედრას ატარებს და მერე ქრება. ბევრი არგენტინელი ფეხბურთელი ევროპულ კლუბებში მეტად ახალგაზრდული ასაკიდან მიდის. ლეო მესი „ბარსელონაში“ რომ ჩავიდა, სულ პატარა ბიჭი იყო. კი ბატონო, ხშირ შემთხვევაში ეს სასარგებლოა. ასე იყო იმავ მესის, ტევესის, მასკერანოს და რიკელმეს შემთხვევაში, მათ, ევროპაში, ტაქტიკისა და დისციპლინის მნიშვნელობა უკეთ შეითვისეს, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს — ამ ფეხბურთელების ნიჭსა და თამაშს მათი მშობელი ხალხი ვერ უყურებს. ვგონებ, არგენტინული კლუბები ყველა ღონეს უნდა ხმარობდნენ, რათა თავიანთი ნიჭიერი ახალგაზრდები, რაც შეიძლება, დიდხანს დაიტოვონ, თუმცა ისიც კარგად მესმის, რომ ფეხბურთი ფინანსებს ებჯინება და საბოლოოდ ყველაზე ნიჭიერები ყველაზე დიდ ფულთან მიდიან“.

**პაპუნა ძედია**

# ქრისტიანულად მოექეცით კრიშტიანუს!

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი შეშფოთებულია. იგი შიშობს, რომ მისი ვარსკვლავი, პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ საბოლოოდ რომელიმე „მჩეხველის“ მსხვერპლი შეიქნება. კიდევ, „იუნაიტედის“ ბოსი დარწმუნებულია, რომ მოწინააღმდეგე გუნდების ქომაგები მსაჯებს რონალდუს წინააღმდეგ აღიზიანებენ.

„ნამდვილად შეშფოთებული გახლავართ, რადგან ვიცი, რომ მეტისმეტად ბევრი მცველი მიზნად კრიშტიანუ რონალდუს ნებისმიერი ხერხით შეჩერებას ისახავს. ამ სეზონში მის წინააღმდეგ რამდენიმე მცველმა ისეთი ილეთი ჩაატარა, რომ ამის შეხედვა სასაცილოც კი გახლდათ. სწორედ გამიგეთ, იმას კი არ ვამბობ, რომ რონალდუ მოწინააღმდეგე გუნდების მცველებმა უპრობლემოდ უნდა გაატარონ, მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს და ვგონებ, მსაჯებმაც მეტად უნდა დაიცვან იგი თავდასხმებისაგან. გასაგებია, რომ ამა თუ იმ ქალაქში ადგილობრივი ფანები ჩვენს ფეხბურთელს „ბუუუს“ დაუძახებენ, მაგრამ მსაჯებზე ზემოქმედება და უსამართლობისკენ ბიძგება უკვე კარგი საქმე აღარ არის. რონალდუ ხომ იმ მოთამაშეთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთა ნახვაც თავად ფანებს უნდათ და ასეთები კი არ უნდა ჩაწიხლონ, პირიქით, უნდა გაამხნევონ“.

**პაპუნა ძედია**






# ჩვენი ბრძენი ახალგაზრდობა

## ფუნთუშაზე გაზრდილი პატარა მეთოფეები

**დღეს** ხომ სამშაბათია და შაბათი რომ მოვა, პრემიერლიგაში იცით, რა თამაში გაიმართება? „არსენალი" „მანჩესტერ იუნაიტედს" უმასპინძლებს.

ცხრილი გახსოვთ? პირველ და მეორე ადგილებზე სწორედ ეს გუნდები არიან, თან ისე, რომ ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვთ — ორივეს 26.

ბოლო ტურში მანჩესტერელებმა „მიდლსბროს" 4:1 მოუგეს, ხოლო „არსენალმა" სტუმრად „ლივერპულს" გაუძლო — სესკ ფაბრეგასის გოლით სტივენ ჯერარდის გოლი გაქვითა და ასე ითამაშა 1:1.

ლონდონელთა მწვრთნელი არსენ ვენგერი: „აქ, ლივერპულში მეტისმეტად სერიოზული ტესტი ჩავაბარეთ. აქ მიღწეული ფრე იმის საშუალებას გვაძლევს, რომ შემდეგ ტურში, „ემირატს სტედიუმზე", მოწინააღმდეგეს საკუთარი თავის კიდევ უფრო მეტი რწმენით შევეგებოთ...

...ჩემი გუნდის თამაშმა მეტად გამახარა. ძალიან სასიამოვნო იყო ასეთი გუნდური სულისკვეთების ხილვა. გაშვებული გოლის შემდეგ ბიჭებმა სულ სხვა დამოკიდებულება გამოამჟღავნეს. გარშემო ყველა იმას ამბობს, რომ „ლივერპულმა" „არსენალს" პირველი ნამდვილი დიდი გამოცდა მოუწყო და მართალიცაა. ვიმეორებ, ამ გამოცდაში მთავარი ის სულისკვეთება გახლდათ, ჩემმა ბიჭებმა რომ გამოიჩინეს. აშკარად გამოჩნდა, რომ მათ საკუთარი შესაძლებლობებისა სწამთ. ცხადია, ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ დიდი გზაა გასავლელი, მაგრამ ვგონებ, ჩვენ ბრძოლის ნიჭი აღმოგვაჩნდა და ეს ნიჭი ბოლომდე გაგვაძლებინებს. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ „ლივერპულთან" თამაშის შემდეგ უფრო გავძლიერდებით".

შემდეგ არსენ ვენგერმა თამაშის კომბინაციურ სტილზე ჩამოაგდო სიტყვა: „ჩვენ საუცხოო კომბინაციები ჩავატარეთ. ეს კომბინაციები ჩვენი ფეხბურთელების ტექნიკასა და გადაადგილებებზე გახლდათ დაფუძნებული. თან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ „არსენალმა" ლივერპულშიც კი რისკიანი სტილით ითამაშა და ყველაფერი გამოუვიდა. თამაშის მსვლელობისას ვფიქრობდი, ეს შეხვედრა შეიძლება მოვიგოთ ან წავაგოთ, მაგრამ ჩემების თამაშს ნაკლს ვერ ვუპოვიმეთქი. რასაკვირველია, ფეხბურთელებს გული დასწყდათ, სამივე ქულა რომ ვერ მოიპოვეს, მაგრამ მოდით, რეალისტები ვიყოთ, მუდმივად სამ-სამი ქულის მოპოვება ხომ შეუძლებელია?

...თან, თავიდან ცოტა ნერვიულად დავიწყეთ, რადგან არ გვასვენებდა იმის განცდა, რომ ყველა ჩვენ შემოგვყურებდა და გვამოწმებდა, სინამდვილეში რა ბიჭები ვიყავით. გოლიც სწორედ დასაწყისში გავუშვით, თუმცა ამის შემდეგ, როგორც მოგახსენეთ, ჩვენებურად ავთამაშდით და მოედანზე სურათიც შეიცვალა...

...აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რა შეიცვალა ჩვენს გუნდში წინა სეზონთან შედარებით? ამ კითხვაზე მოკლე პასუხის გაცემა შეუძლებელია, მაგრამ, ვფიქრობ, მთავარი მაინც ჩვენი ახალგაზრდა მოთამაშეების დაბრძენებაა. გასულ სეზონში, ჩვენდა უნებლიედ, დინების წინააღმდეგ მივცურავდით. გახსოვთ, როგორ ვიყავით? ახალ სტადიონზე გადავედით და პირველ სამ ტურში შვიდი ქულა დავკარგეთ. თუმცა გუნდის პოტენციალის შემჩნევა მაშინაც შეიძლებოდა, რადგან დიდ შეხვედრებში გამორჩეულად კარგად ვთამაშობდით".

და რა თქვა კვირის მატჩზე „ლივერპულის" თავკაცმა რაფა ბენიტესმა?

„თუ ყველაფერს კარგად გავიხსენებთ და გავაანალიზებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ფრე ლოგიკური და სამართლიანი შედეგი იყო. ჩვენ საქმე ფერნანდო ტორესის დაშავებამ გაგვირთულა. მეორე ტაიმში ძალიან დაგვაკლდა მისი სისწრაფე, რომლის წყალობითაც მანამდე მოწინააღმდეგის დაცვა გვარიანად იყო შეზღუდული. დღეს „არსენალი" უკვე ექვსი ქულით გვისწრებს, მაგრამ ახლა ძალიან ადრეა იმაზე ლაპარაკი, ვინ გახდება ამ სეზონში ინგლისის ჩემპიონი".

მართლაც, ჯერ კაცმა არ იცის, ვინ გახდება ინგლისის ჩემპიონი, მაგრამ ლონდონელთა გოლის ავტორ სესკ ფაბრეგასზე დაბეჯითებით შეგვიძლია მოგახსენოთ, რომ ის 350-კალორიიან და 19-გრამიან მაკარონსა და თევზს მიირთმევს დაწესებულებაში, რომელსაც „კრისპი კრემი" ჰქვია — ამჯერად ფეხბურთელის მიერ დიეტის დარღვევაზე გესაუბრებით.

ფაბრეგასი: „ხანდახან „კრისპი კრემში" დავდივარ. ეს მეტწილად მაშინ ხდება, როდესაც „არსენალი" შინ თამაშობს. თამაშის შემდეგ მიყვარს იქ შესვლა და ფუნთუშებიანი ზეიმის მოწყობა. საინტერესო სანახავია — „კრისპი კრემთან" როგორ დგას უამრავი მანქანა, შიგ კი ხალხი ზის და ყველა ფუნთუშას ჭამს".

და სიგარეტი? განა გემრიელ სადილს სიგარეტის დაყოლება არ უხდება?

„ცხოვრებაში ერთი ღერი მაქვს მოწეული. ეს ესპანეთში მოხდა და საშინლად არ მომეწონა. აი, რაც შეეხება გემრიელ ჭამას, ვფიქრობ, არსენ ვენგერი არ გამიწყრება, რადგან იცის, რომ მავნებელ საკვებს არასდროს მივილებ. მე სწორი და დროული ჭამა შემიძლია".

**ბაჩუნა ძიძია**

# გუსფაქტორი



**ახლა** უკვე ფაქტია: „ტოტენჰემ ჰოთსპურმა" ახალი მწვრთნელის ხუანდე რამოსის ასისტენტად გუსტავო პოიეტი დანიშნა. ლონდონურ კლუბში სამუშაოდ პოიეტი ჩემპიონატში, ანუ ერთით ქვედა ლიგაში მოთამაშე „ლიდს იუნაიტედს" გამოეყო, სადაც დენის უაიზს ეხმარებოდა.

ამრიგად, 39 წლის ურუგვაელი გახდა მეორე, ვინც რამოსს ამოუდგება მხარში — პირველი არის მარკოს ალვარესი, რომელიც ტოტენჰემელთა ახალ მწვრთნელს „სევილიადან" წამოჰყვა.

შეგახსენებთ, რომ გუსტავო პოიეტი „უაით ჰარტ ლეინზე" უცხო კაცი სულაც არ არის — ის „მამლებში" 2001-2004 წლებში გამოდიოდა.

გუშინ „ლიდს იუნაიტედის" ვებგვერდზე ეწერა: „გუსტავო პოიეტის სანაცვლოდ „ტოტენჰემ ჰოთსპური" „ლიდს იუნაიტედს" საკომპენსაციო პაკეტს გადასცემს, თუმცა მხარეების მოლაპარაკების შესაბამისად, ამ პაკეტის შინაარსი არ გამჟღავნდება".

პოიეტი კარიერის განმავლობაში ლონდონურ „ჩელსსა" და ესპანურ „სარაგოსაშიც" თამაშობდა, ხოლო დენის უაიზის ასისტენტობას „ლიდს იუნაიტედამდე" „სუინდონ თაუნში" შეუდგა.

„გუსი მეტად გამოცდილი და დიდი მწვრთნელია, რომელიც „ლიდს იუნაიტედს" ძალიან დააკლდება, მაგრამ დროთა განმავლობაში მისი შემცვლელიც უეჭველად გამოჩნდება" — განაცხადა „ლიდსის" კიდევ ერთმა ასისტენტმა მწვრთნელმა და წარსულში ფეხბურთელმა ალან ტომპსონმა.

**ბაჩუნა ძიძია**

## პრემია ზენიტისთვის

**რუსული** პრესის ცნობით, სანკტ პეტერბურგის „ზენიტმა" ჩემპიონობისთვის ბრძოლაში თავის უშუალო კონკურენტ „სპარტაკთან" ფრისთვის (0:0) „სატურნს" პრემიის სახით 300 ათასი ევრო გამოუყო.

რუსეთის ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურიღა დარჩა და „ზენიტი" „სპარტაკს" ორი ქულით უსწრებს. ასე რომ, დიდი შანსია, „სატურნთან" მოსკოველების მიერ დაკარგული ორი ქულა გადამწყვეტიც გამოდგეს.

## მანჩესტერს სანიოლი უნდა

**„მანჩესტერ იუნაიტედს"** დაცვის მარჯვენა ფლანგის გაძლიერება სდომებია და თვალი ვილი სანიოლისთვის დაუდგამს. 30 წლის ფრანგი მცველი 6,5-7 მილიონ ევროდ ფასდება და ამბობენ, „წითელი ეშმაკები" მის ხელში ჩაგდებას იანვარშივე ეცდებიანო. მით უმეტეს, რომ ტრავმის გამო ოთხთვიანი პაუზის მერე მომჯობინებული სანიოლი ჩემპიონთა ლიგაში თამაშს შეძლებს, რადგან მიუნხენის „ბაიერნს" იგი საუეფასთასო განაცხადში არ შეუყვანია.

## რამოსს ტოტენჰემშიც სევილია მიჰყავს

**„დეილი მეილის"** ინფორმაციით, ლონდონის „ტოტენჰემის" ახალ მწვრთნელ ხუანდე რამოსს გუნდის გასაძლიერებლად 60 მილიონ ევროს მისცემენ.

რამოსს უკვე ამოუღია მიზანში თავისი ყოფილი კლუბის, „სევილიას" ოთხი ფეხბურთელი — ანდრეს პალოპი, დანიელ ალვეში, ჟულიენ ესკუდე და ფედერიკ კანუტე.

## იოლის ვარიანტები

**ინგლისური** „ტოტენჰემიდან" გაშვებული მარტინ იოლი, რომელსაც აქამდე ამსტერდამის „აიაქსს" უკავშირებდნენ, შესაძლოა, ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი გახდეს.

გავრცელებული ცნობით, 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მარკო ვან ბასტენი დატოვებს „ნარინჯისფერებს" და მას სწორედ 51 წლის იოლი შეცვლის. თუმცა იქამდე მას შემოთავაზება პსვ-სა და „ფულემისგანაც" მიუღია.

ამბობენ, იოლი უფრო ლონდონელების ვარიანტმა დააინტერესა, რადგან ამ ეტაპზე პრემიერლიგაში დარჩენა სურსო.

## ბრაზილიელი ნედვედი

**იტალიური** მედია წერს, რომ ტურინის „იუვენტუსი" „სან პაულუს" 25 წლის ნახევარმცველ რიჩარდსონს ეპატიჟება.

„ბებერ ქალბატონს" ბრაზილიელი ვეტერან პაველ ნედვედის შემცვლელად წარმოუდგენია. რიჩარდსონით „რომაც" დაინტერესებულია.

**ქოქი ქანდელაკი**



# სპალეტიმ ანჩელოტი ვერ ააყვირა

„მილანთან“ მნიშვნელოვანი მოგებით „რომამ“ „იუვენტუსსა“ და „ფიორენტინას“ გადაასწრო, ლიდერ „ინტერთან“ სხვაობა კი სამ ქულამდე შეამცირა. დედაქალაქელებმა დაშავებული ფრანჩესკო ტოტის გარეშეც მშვენივრად ითამაშეს და მათი მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი კმაყოფილია. ხოლო ტოტი ალბათ ვერც „ლაციოსთან“ რომაულ დერბიში ითამაშებს, რომელიც შუა კვირაში გაიმართება.

„დაძაბული მატჩი იყო. ჩემმა გუნდმა დაამტკიცა, რომ სტაბილურობისა და მებრძოლი ხასიათის მხრივ, სერიოზულად წავიწიეთ წინ.“

დანიელე დე როსის პენალტი ცოტა უკეთ რომ დაერტყა, „ჯალოროსი“ მეორე გოლსაც გაიტანდა.

ეს „რომას“ მიჯრით მეორე გაცუდებული თერთმეტმეტრიანი გახლდათ — ამანტინო მანსინიმ ჩემპიონთა ლიგაში ლისაბონის „სპორტინგთან“ შეხვედრაში გააცუდა პენალტი.

„პენალტის ეპიზოდში კარგი ის გახლავთ, რომ დანიელემ საოცარი ხასიათის სიმტკიცე და სითამამე გამოიჩინა. მან არაზუსტი დარტყმის მერეც დინჯად გააგრძელა თამაში“ — დასძინა სპალეტიმ.

„როსონერის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი: „დაბნეულები და საგონებელში ჩავარდნილები არა, მაგრამ გულდაწყვეტილები ვართ. ფაქტია, პრობლემები გვაქვს, განსაკუთრებით სერია A-ს საშინაო მატჩებში. თანაბარი თამაში იყო. უბრალოდ, „რომამ“ თავისი შანსი უკეთ გამოიყენა და უფრო გაუმართლა. არავისთვის მიყვირია, გუნდთან კარგი ურთიერთობა მაქვს, ჩვენ შეკრული კოლექტივი გვყავს და ამ რთული პერიოდის გადასალახად გამოსავალს ერთად ვეძებთ. ვიპოვით კიდეც, როგორც ამას წარსულში ვაკეთებდით. ნამდვილად შემიძლია, გითხრათ, რომ ჩვეული ტაქტიკის შეცვლას არ ვაპირებთ. დაშავებული ფეხბურთელები რომ დაგვიბრუნდებიან, უკეთ ავთამაშდებით.“

**გიორგი ძაძამიძე**

# იუვენტუსი ყველანაირად დაწვეს: მოედანზე მსაჯით, ბაზაზე ხანძრით

„იუვენტუსის“ გარშემო კვლავ აურზაურია. ტურინელები მიმდინარე სეზონში პირველად როდი დაჩაგრეს მსაჯებმა, თან ამჯერად ძალიან მძიმედ. ხოლო ის, რომ „ნაპოლი“ — „იუვეს“ მსაჯი მაურო ბერგონცი ერთთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს და თან საკმაო ხანი მოუწევს სერია A-სთან დამშვიდობება და სერია B-თი დაკმაყოფილება, „ბებერი ქალბატონისთვის“ დიდი ვერაფერი ნუგეშია.




„ბიანკონერის“ პირველ ტაიმში გოლი არ ჩაუთვალეს, მაგრამ 46-ე წუთზე მაინც დაწინაურდა. მერე ძელსაც გაარტყა ბურთი. თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, მაგრამ... ვალტერ გარგანომ მშვენიერი გოლით გაათანაბრა ანგარიში, რვაწუთიან მონაკვეთში კი ბერგონციმ ტურინელთა კარში ორი მოგონილი პენალტი დანიშნა და, ფაქტობრივად, გაწირა „იუვენტუსი“.

„ჩემი ადგილიდან ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ორივე პენალტი აშკარა იყო. ვიდეოგამეორებაზე გამოჩნდა, რომ ზალაიეტას ეპიზოდი საკამათოა. მინდორზე, მოძრაობაში ყველაფერი გაცილებით რთული დასანახია, ვიდრე ვიდეოგამეორებაზე. ასე რომ, მსაჯს მაინცდამაინც ნუ განვსჯით. ფაქტია, კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით მანუელე ბლაზი უნდა გამოვარჩიო. მშვენიერი გუნდი გვყავს და ბევრი შეგვიძლია. „იუვენტუსი“ სამი თავდამსხმელით გვეთამაშა, მაგრამ მხოლოდ ორი-სამი მომენტი შევაქმნევინეთ“ — აღნიშნა „ნაპოლის“ მწვრთნელმა ედი რეხამ.

ნეაპოლელთა პრეზიდენტი აურელიო დე ლაურენტისი: „ამგვარი ინციდენტები ჩვენი კი არა, ფედერაციის პრობლემაა, რომელიც იმედია, ერთ დღეს ვიდეოგამეორების გამოყენებას გადაწყვეტს, რათა ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაუსვას ასეთ გაუგებრობებს. რაც შეეხება „ნაპოლის“, ვფიქრობ, ათეულში მოხვედრა შეგვიძლია. ჯერ კიდევ შენების პროცესში ვართ და მომავალ სეზონში ალბათ ბევრად მეტზე გვექნება პრეტენზია“.

„ვიდეოგამეორების ნახვა არ იყო საჭირო, ისედაც კარგად ჩანდა, რომ ორივე პენალტი ტყუილად დაინიშნა, ეს „ნაპოლის“ ფანებმაც აღიარეს. ჩვენ ისედაც ზედმეტად დავისაჯეთ, სერია B-ში ვიყავით, ახლა სერია A-ში დავბრუნდით და გვინდა, იმის მიხედვით შეგვაფასონ და განგვსაჯონ, რაც მინდორზე მოხდება. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. 3 ქულას უკან ველარავინ დაგვიბრუნებს, მაგრამ, იმედია, ამ ინციდენტებს სათანადო რეაგირება მოჰყვება და შეწყდება ზეწოლა მსაჯებზე, რომლებიც ჩვენს მატჩებზე იქნებიან მოვლენილნი“ — ეს კი „იუვეს“ პრეზიდენტ ჯოვანი კობოლი ჯილის სიტყვებია.

„ბიანკონერის“ თავდამსხმელი დავიდ ტრეზეგე: „ეს ნამდვილი სკანდალია და სათანადო რეაგირება სჭირდება“.

ტრეზეგეს დაეთანხმნენ და მისი სიტყვები გაიმეორეს ნიკოლა ლეგროტალიემ და რაფაელე პალადინომაც. გაცოფებული იყო ჯანლუიჯი ბუფონიც. „იუვეს“ მწვრთნელი კლაუდიო რანიერი და თავდამსხმელი ვინჩენცო იაკინტა კი უფრო თავს იკავებდნენ, რაც მოხდა, მოხდა, ვეღარაფერს შევცვლით და სჯობს, მომავალ მატჩზე ვიფიქროთ.

დაბოლოს, თითქოს მსაჯებისგან „დაწვა“ არ ეყოფოდაო, ხანძარი გაჩნდა „იუვენტუსის“ საწვრთნელ ბაზაზე. გასახდელი საკმაოდ სერიოზულად დაზიანებულა. საბედნიეროდ, იმ დროს იქ ფეხბურთელები არ იყვნენ და არც არავინ დაშავებულა.

**გიორგი ძაძამიძე**



# რას ნიშნავს უტოტოზა?

## ასეთი ცუდი მილანი 1983 წლის მერე არ უნახავთ

**სერია A-ს მე-9 ტური ნინებზე არანაკლებ დაძაბული და საინტერესო გამოდგა, თუ უფრო მეტად არა. CHANNEL4.COM-ი მორიგ ჩანახატს გვთავაზობს, რომლის მიხედვითაც ტურის საუკეთესო მოთამაშე მირკო ვუჩინიჩია და ძნელია, ამას არ დავეთანხმოთ...**

### გამარჯვებულები

**მირკო ვუჩინიჩი (რომა)** — მისთვის წარმატებული კვირა იყო. ჯერ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე სეზონში თავისი პირველი გოლი გაიტანა „სპორტინგთან“ მატჩში, მერე კი „მილანთან“ მნიშვნელოვან შეხვედრაში შეაგდო გამარჯვების ბურთი. „როსონერისთან“ მატჩამდე ჩერნოგორიელმა ფორვარდმა თქვა, ფრანჩესკო ტოტი ჩვენთვის ძალიან დიდი ძალაა, მაგრამ ერთი კაცის გუნდი არ ვართ და გვინდა, ეს დავამტკიცოთ, პირადად მე „სან სიროზე“ თავის გამოჩენას ვაპირებო.

**დომენიკო დი კარლო (პარმა)** — მის სკამქვეშ შემდგარი წყალი ნელნელა შრება. დი კარლოს შეგირდებმა ბოლოადგილოსან „ლივორნოსთან“ ექსტრემალურ მატჩში ძალიან კი იწვალეს, მაგრამ მაინც იმარჯვეს და თამაშის შემდეგ „პარმას“ პრეზიდენტმა ტომაზო გირარდიმ მოკლე კომენტარით ყველაფერი თქვა: „იყო, რომ დი კარლო მოხსნის საფრთხის წინაშე?! მით უმეტეს, ახლა მას შეუძლია, უფრო დაიმშვიდოს გული“.

**მანუელე ბლაზი (ნაპოლი)** — თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ იგი ჩინებული გახლდათ. ბლაზი ყველა ბურთისთვის იბრძოდა, ძალიან შემართული, აგრესიული და სასარგებლო იყო. ალბათ ტურინელებმა გაიფიქრეს, ისევ ჩვენთან რატომ არ არისო.

### დამარცხებულები

**მარსელო ზალაიეტა (ნაპოლი)** — მთავარი დამნაშავე მსაჯი მაურო ბერგონცი გახლდათ, რომელმაც „იუვენტუსს“ ორი აბსურდული პენალტი დაუნიშნა, მაგრამ ზალაიეტას საქციელს გამართლება არ აქვს. ჯორჯო კიელინიმ ეზეკიელ ლავეცის სუფთად აართვა ბურთი, მაგრამ ამ ეპიზოდში რაღაც შეხების მსგავსი მაინც იყო და არგენტინელიც ამის მერე დაეცა. ზალაიეტამ კი სიმულანტობის შეუდარებელი ნიჭი გამოავლინა და საკუთარი თავის უნდა რცხვენოდეს. მით უმეტეს, თავის ყოფილ გუნდთან შეხვედრაში ასეთი საქციელისთვის.

**კარლო ანჩელოტი (მილანი)** — „როსონერის“ კრიზისი უკვე სახიფათო ზღვარს სცდება. ჩემპიონატის დაწყებიდან ჯერ მხოლოდ 9 ტურია გასული და ანჩელოტის გუნდმა, ფაქტობრივად, უკვე დაკარგა სკუდეტოს მოპოვების შანსი. შარშან ამ დროსაც კი „მილანი“ ასე ცუდად არ გამოიყურებოდა, კალჩოპოლის სკანდალისა და დაკლებული ქულების მერე. ანჩელოტის ხელი კი გუნდს არც ტაქტიკური თვალსაზრისით ეტყობა დიდად და არც ფსიქოლოგიურით.

**ანტონიო კასანო (სამპდორია)** — სერია A-ში დაბრუნების მერე „ხულიგანი“ პირველად იყო ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ თამაშის მხრივ დასამახსოვრებელი ვერაფერი გააკეთა. მან თითქმის ყველა ბურთი დაკარგა, 38-ე წუთზე კი კვლავ კუნთი დაიშავა და შესაცვლელი შეიქნა. სწორედ ამ დროს იგი ჩვეულად გამოვიდა წყობიდან და მინდორი ისე დატოვა, რომ მისი შემცვლელის გამოსვლას არც დაელოდა. ვინჩენცო მონტელამ „ხულიგანის“ შეჩერება სცადა, მაგრამ ანტონიომ მისი ხელი უხეშად მოიშორა და რაღაცები მიაძახა, მათ შორის ეს ფრაზა — გიჟი ხარ?! ეს ტიპური კასანოა...

### გოლები

**ვალტერ გარგანო (ნაპოლი)** — ურუგვაელმა მორიგი ჩინებული გოლი გაიტანა. მან „იუვენტუსის“ მთელი დაცვა გაიარა და ჯანლუიჯი ბუფონს შორეულ დაბალ კუთხეში დაურტყა.

**მირკო ვუჩინიჩი** — ამანტინო მანსინისა და სისინიოს აქტიურობის შემდეგ, ჩერნოგორიელის კოხტა და ზუსტი თავური ლამაზი საცქერი გახლდათ.

**ფრანჩესკო ტავანო (ლივორნო)** — „პარმასთან“ დუბლი მიითვალა. ლამაზი პირველი გოლი გამოვიდა, როცა ბურთმა ცოტა უცნაური ტრაექტორიით იფრინა და მაღალ კუთხეში შევარდა.

### რიცხვები

**„მილანის“ კოშმარი:** ეს „მილანის“ უცუდესი სტარტია 1983 წლის მერე. მაშინ „როსონერი“ სერია B-დან იყო დაბრუნებული და საწყის 9 ტურში ასევე 10 ქულა მოაგროვა. ეს „მილანის“ მიჯრით მეორე 0:1 იყო „სან სიროზე“. შედეგად, მიმდინარე სერია A-ში ანჩელოტის გუნდი შინ კვლავ მოუგებელია — „შავ-წითლებმა“ საკუთარ კედლებში 5 მატჩი ჩაატარეს და მხოლოდ 3 ქულა მოიპოვეს.

**მარადონას მოგონება:** „ნაპოლის“ „იუვენტუსისთვის“ ბოლოს 1990 წლის პირველ სექტემბერს იტალიის სუპერთასის მატჩში მოეგო — 5:1. სერია A-ში კი 1990 წლის 25 მარტს 3:1, დიეგო მარადონას დუბლით. კვირას 17-წლიანი ნავსი გატყდა. შარშან ნეაპოლელებმა „ბიანკონერი“ კი გამოაგდეს იტალიის თასიდან, მაგრამ ეს პენალტების სერიაში მოხდა.

**ნულები:** მიმდინარე სეზონში „ინტერმა“ და „ფიორენტინამ“ პირველად ვერ შეძლეს გოლის გატანა. „ნერაძურიმ“ ბოლოს ნულზე 7 აპრილს ითამაშა — „რეჯინასთან“ 0:0. „იებს“ კი 6 მაისს „მილანთან“ ნათამაშევი ასევე უგოლო ფრის მერე აქამდე სულ გაჰქონდათ. საერთოდ, მე-9 ტურში წინა ტურებთან შედარებით ყველაზე მეტი, 3 შეხვედრა დასრულდა უგოლოდ.



კატანიელი დავიდე ბაიოკო სამპდორიელი ანტონიო კასანოს შეჩერებას ცდილობს

# ვინ იჩხუბა და, ცხადია, კასანომ! როდის სცემეს პოლიციელებმა სამპდორიელები?

**დიდი** ვნებათაღელვით ჩატარდა „კატანია" — „სამპდორიას" მატჩი, რომელიც მასპინძლებმა 2:0 მოიგეს. გენუელებმა სიცილიელებს ბრალი დასდეს, „სტადიო მასიმინოზე" რამდენიმე სამართალდამცავმა ჩვენს ფეხბურთელებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიაყენაო.

„მატჩის შედეგზე არანაირი პრეტენზია არ გვაქვს. ჩვენ, უბრალოდ, იტალიის ფეხბურთის ფედერაციას მოვახსენეთ, რაც მოხდა სტადიონზე. რამდენიმე ფეხბურთელსა თუ თანამშრომელს „სტადიო მასიმონოზე" მომუშავე სამართალდამცავებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს" — ნათქვამია „სამპდორიას" ოფიციალურ განცხადებაში.

„როგორც ვიცი, არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, ყვირილსა და მცირე გაუგებრობას თუ არ ჩავთვლით. როგორც ჩანს, ვიღაცას უნდოდა, ეს ამბავი ვითარების დასაძაბად და მატჩზე გავლენის მოსახდენად გამოეყენებინა. თუმცა შეხვედრამ მშვენივრად ჩაიარა და დამსახურებულად მოვიგეთ" — თქვა „კატანიას" პრეზიდენტმა ანტონიო პულვირენტიმ.

ვითარება კი მატჩამდეც დაძაბული გახლდათ, რადგან „სამპდორიას" მწვრთნელმა, რომელიც წინა სეზონში „რეჯინაში" მუშაობდა, ადრე თქვა — გული დამწყდა, რომ სერია A-დან „კიევო" გავარდა და არა „კატანიაო". ეს სიცილიელებს გულში ჰქონდათ ჩარჩენილი.

„ვალტერ მაცარის უნდოდა, რომ სერია A-დან ჩვენ გავვარდნილიყავით. ახლა ჩამოვიდა და ყველაფერი თავდაყირა დააყენა... მთავარია, ინციდენტი უკვე ამოწურულია, პოლიციამ დაადასტურა, რომ არაფერი მომხდარა. დანარჩენი უსაფუძვლო მითქმა-მოთქმაა" — დასძინა პულვირენტიმ.

ეს ყველაფერი კი ანტონიო კასანოს მორიგმა თავნებობამ „დაამშვენა". 38-ე წუთზე იგი შესაცვლელი შეიქნა და ამით გაბრაზებული შეცვლას არც დაელოდა, უმალ დატოვა მინდორი. თან თანაგუნდელ ვინჩენცო მონტელას წაეჩხუბა, რომელიც მის შეჩერებას ცდილობდა.

ამის მერე ითქვა, კასანო მაცარის და მთლიანად „სამპდორიას" ხელმძღვანელობასაც ეჩხუბაო. თუმცა ეს 25 წლის ფეხბურთელმაც უარყო და გენუელთა უფროსობამაც...

„ძალიან იმედგაცრუებული და გულდაწყვეტილი ვიყავი. იმ მომენტში მეგონა, ყველაფერი თავზე მენგრეოდა. ისე კი, ვერ გავიგე, რატომ ატყდა ამხელა აურზაური და ლაპარაკი იმის გამო, რომ მინდორი შეცვლამდე ცოტა ადრე დავტოვე" — განაცხადა კასანომ.

„სამპდორიას" სპორტული დირექტორი ბეპე მაროტა: „იგი გამორჩეული პიროვნებაა და პრესას უყვარს მასზე თავდასხმა და მწვავე სტატიების წერა. ზოგჯერ ფეხბურთში მხოლოდ ნიჭი საკმარისი არ არის, მტკიცე ხასიათი და სხვადასხვა ასპექტების თანხვედრაც საჭიროა. ანტონიო ჯერ მხოლოდ 25 წლისაა და იმედია, მობილიზებას და ძველებურად ათამაშებას შეძლებს."

**გიორგი ძაძაძაძე**

# სადღაა ფანტასტიკა...

**რონალდინიოს** მდგომარეობა „ბარსელონაში" სულ უფრო აუტანელი ხდება. ბრაზილიელმა კვირას „ალმერიას" წინააღმდეგ ითამაშა, მაგრამ ღირებული ვერაფერი გააკეთა, ამის შემხედვარე ფრანკ რაიკარდმა შეცვალა და მოედანზე ლეო მესის უხმო, რომელმაც ბარსელონელთა მეორე გოლი გაიტანა. ბრაზილიელი კი ქომაგებმა სტვენა-გინებით გააცილეს...

ამ სეზონში მწვრთნელმა რონალდინიო უკვე მეექვსედ შეცვალა...

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რონალდინიოს ხელში ჩასაგდებად 60-მილიონევროიანი „მილანია" ჩასაფრებული, იანვრის სატრანსფერო ბაზარზე ფეხბურთელის იტალიაში გადაბარგება ფანტასტიკად სულაც არ მოგვეჩვენება...

**ლადო ხომერიკი**

# რას შეცვლის მადრიდის რეალში რობინიოს მეუღლის მშობიარობა?



„დეპორტივოსთან" მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მადრიდის „რეალის" გერმანელ მწვრთნელ ბერნდ შუსტერს ჟურნალისტთა კრიტიკის მოგერიება რომ დასჭირდა, ჯიქურ ისროლა ფრაზა: „ჩვენ პრიმერადივიზიონის ლიდერები ვართ. საკუთარი თამაშის ხარისხით შეშფოთება და წუხილი „რეალს" კი არა, ჩემპიონატის დანარჩენ გუნდებს მართებთ".

„ბერნარდომ" რაულსა და გუტის ტექნიკა შეუქო, თუმცა „რეალის" მიერ გაშვებული სწრაფი გოლებით უკმაყოფილო ჩანს...

— ხავიერ სავიოლასა და რუუდ ვან ნისტელროის წყვილზე რას გვეტყვით?

— სავიოლასა და რუუდის მოედანზე ერთად ყოფნაში პრობლემურს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ მათი აქტიურობა მოედნის ცენტრზეა დამოკიდებული, სადაც „დეპორტივოსთან" ბევრით ვერაფრით ვიხეირეთ. თუ ნახევარდაცვიდან საჭირო დახმარება ვერ მიიღო, თამაში ნებისმიერ ფორვარდს გაუჭირდება. თუმცა ამ თავდამსხმელთა მებრძოლი ხასიათიც მნიშვნელოვანია — სავიოლასა და ვან ნისტელროის აქტიურობა გამარჯვების მოპოვებაში დაგვეხმარა.

— რა შეიძლება გაკეთდეს, რომ მატჩების დასაწყისში სწრაფი გოლები თავიდან აიცილოთ? „დეპორტივოსთანაც" გაიმარჯვეთ და სხვა რამდენიმე შეხვედრაშიც, მაგრამ „რეალი" მაინც ცეცხლს ეთამაშება...

— უნდა ვაღიაროთ, ეს სწრაფი გოლები სიტუაციას უკიდურესად გვირთულებს, თუმცა ძნელად ასახსნელია, ასე რატომ ხდება. პირიქით, უნდა ვეცადოთ, მეტოქეს პირველი გოლი „რეალმა" შეუგდოს. სამი მცველით ვთამაშობთ და ამიტომაც უკანა ხაზზე რისკის ფაქტორია. იმედი მაქვს, მომავალში ეს შეიცვლება, ტრავმირებული მცველები დაგვიბრუნდებიან და შეხვედრის დასაწყისში უსიამოვნო სიურპრიზებსაც თავიდან ავიცილებთ.

— რობინიომ განაცხადა, რომ როდესაც მამა გახდება, მოედანზე და, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრებაში საჭირო სიმშვიდეს მოიპოვებს. თქვენც ასე ფიქრობთ? შვილი ბრაზილიელს უფრო მოწესრიგებულსა და დისციპლინიანს გახდის?

— ვნახოთ, საქმეები როგორ წარიმართება. ცხადია, მამობა ნებისმიერი ფეხბურთელისა და საერთოდ ადამიანისთვის მორალურ გაძლიერებას ნიშნავს.

— ადრე რამდენჯერმე გითქვამთ, რომ „რეალის" თამაშში რაღაც არ გაკმაყოფილებდათ. იმის შემდეგ დრო გავიდა და გუნდის სათამაშო სტილში არაფერი შეცვლილა. სრულყოფის მიღწევისთვის რა გაკლდებათ?

— ეს სულაც არ მაღელვებს, რადგანაც ასეთი თამაშით გუნდი პრიმერადივიზიონის ლიდერი გახდა. არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ ყველაზე მეტი გოლი გავიტანეთ, ხოლო კასილიასმა საკუთარ კარში ყველაზე ნაკლები გოლი მიიღო. აი, ბედს „რეალისთვის" ტრავმებიც რომ აეცილებინა თავიდან, მაშინ მართლაც იდეალური სიტუაცია იქნებოდა. თამაშის ხარისხით შეშფოთება და წუხილი „რეალს" კი არა, ჩემპიონატის დანარჩენ გუნდებს მართებთ.

— სანერვიულო არაფერი გაქვთ, რადგანაც გუტი გყავთ, ვისაც შეხვედრათა ბედის გადაწყვეტა ეხერხება...

— გუტი, რაული, რუუდ ვან ნისტელროი, რობინიო... ბედის სასიკეთოდ შემოტრიალება ყველა მათგანს ეხერხება და ამიტომაც თამაშობენ მადრიდის „რეალში". ისინი უმაღლესი დონის ფეხბურთელები არიან და მეტოქეს ერთნაირად დამაჯერებლად ამარცხებენ, იქნება ეს საპრიმერო „დეპორტივო" თუ საჩემპიონთალიგო „ოლიმპიაკოსი". მთავარია, რაიმე მოულოდნელი შეცდომით ცხოვრება არ გავირთულოთ და გუნდური ერთიანობა არ დავარღვიოთ.

— თქვენი მწვრთნელობის პერიოდში ყველაზე მეტი სარგებელი რაულს და გუტის მოაქვთ...

— ყველა მწვრთნელი თავის საქმეს თავისებურად აკეთებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფეხბურთი ძალიან მოსაწყენ სანახაობად გადაიქცეოდა. როცა რომელიმე გუნდის თავკაცად მიდიხარ, ცვლილებებს მიმართავ, რათა წამყვან ფეხბურთელთა თამაშის ხარისხი გააუმჯობესო. რაული და გუტი უნდა გამოვიყენოთ, ისინი ქომაგთა ყველაზე საყვარელი მოთამაშეები არიან. გუტი ჩემს მიერ შეთავაზებულ სისტემას უნდა შეეჩვიოს, თუმცა ეს ალბათ ხვალ-ზეგ არ მოხდება.

— თქვით, ტრავმირებულები დაგვიბრუნდებიანო. პეპეც მათ რიცხვში იქნება?

— პეპე ოთხშაბათს ალბათ ვერ ითამაშებს, თუმცა იმედი მაქვს, ჰაინცეს, კანავაროსა და დიარას უკვე „ვალენსიასთან" მატჩში დავიბრუნებთ.

# თამაში კი არა, ლედესმა ვიყიდეთ
## ლაციო და ლეჩე თავს იმართლებენ

**რომის** „ლაციოს" თავზე კვლავ კალჩოპოლის აჩრდილია წამოჭიმული. „ბიანკოჩელესტის" პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოსა და მწვრთნელ დელიო როსის გახმაურებული სატელეფონო საუბარი არავის დავიწყებია. პირიქით, აუდიოჩანაწერი რამდენიმე იტალიური ვებგვერდის საშუალებით გავრცელდა კიდეც.

შეგახსენებთ, რომ საქმე „ლაციოსა" და „ლეჩეს" 2006 წლის 30 აპრილს გამართულ მატჩს ეხება, რომელიც დედაქალაქელებმა მოიგეს. გაჩნდა ეჭვი, რომ „ბიანკოჩელესტის" მწვრთნელმა პრეზიდენტს ამ შეხვედრის ყიდვა სთხოვა.

სატელეფონო საუბარში როსი ლოტიტოს ეუბნება: „მატჩი ახლოვდება და „ლეჩესთან" მოლაპარაკება უნდა დავიწყოთ, რათა ისინი აქ სათამაშოდ შესუსტებულნი ჩამოვიდნენ".

„ლაციოსა" და „ლეჩეს" შორის გარიგებას ორივე მხარე უარყოფს. მათი თქმით, ლაპარაკი კრისტიან ლედესმას ეხებოდა, რომლითაც „ბიანკოჩელესტი" დაინტერესებული იყო და ზაფხულში იგი გადავიდა კიდეც სერია B-ში გავარდნილი „ლეჩედან" „ლაციოში".

„როსი „ლეჩეს" დასუსტებაში ლედესმას ტრანსფერს გულისხმობდა. ისე კი, არა მგონია, ჩვენი სატელეფონო საუბრის ასე გავრცელება და გამოყენება კანონიერი იყოს" — აღნიშნა ლოტიტომ.

„მე მხოლოდ იმიტომ დამირეკეს, რომ ლედესმაზე გვესაუბრა. „ლაციოს" სპორტულ დირექტორს ვუთხარი, ლედესმა ძალიან კარგი ფეხბურთელია-მეთქი. ასევე ვთქვი, რომ როსი მას კარგად იცნობდა და შეეძლო, პირდაპირ დაგვკავშირებოდა. დელიო ხომ „ლეჩესაც" წვრთნიდა და ყველას კარგად გვიცნობს. რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, დარწმუნებული ვარ, შეხვედრა ყველანაირი წესების დაცვით ჩატარდა" — თქვა „ლეჩეს" ყოფილმა დირექტორმა კარლო რეგალიამ.

ასეა თუ ისე, ამ საკითხს სადისციპლინო კომისია ნოემბრის დასაწყისში განიხილავს და ვერდიქტსაც გამოიტანს. პროკურორი სტეფანო პალაცი, სავარაუდოდ, მაქსიმალურ სასჯელს — დელიო როსის ერთწლიან დისკვალიფიკაციას და „ლაციოსთვის" ორი ქულის დაკლებას მოითხოვს.

თავად დელიო როსიმ კი პრესას დროებითი ბოიკოტი გამოუცხადა:

„გადავწყვიტე, ჟურნალისტებს არც ფეხბურთზე და არც სხვა საკითხზე არ ვესაუბრო, სანამ ეს ყველაფერი არ დამთავრდება. ვატყობ, პრესამ ჩემ წინააღმდეგ კამპანია ააგორა და ცდილობს, ჩამითრიოს, რათა მასალა მიეცეს. თუმცა აყოლას არ ვაპირებ და მირჩევნია, პროფესიონალებმა და ხალხმა მშვიდად და წყნარად განმსაჯოს".

**გიორგი ძაძაძაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავმოჭრილი ღამურა

## კიკე სანჩეს ფლორესი მოხსნეს



**კიკე სანჩეს ფლორესს** „ვალენსია“ დაატოვებინეს. „ღამურათა“ კლუბის მმართველმა საბჭომ მწვრთნელთან გამომშვიდობება 28 ოქტომბერს პრიმერადივიზიონის მეცხრე ტურში „სევილიასთან“ წაგების (0:3) შემდეგ გადაწყვიტა.

ამჟამად „ვალენსიას“ დროებით დამრიგებლად ოსკარ ფერნანდესი ჰყავს, ვინც ადრე „ვალენსია B“-ს თავკაცი იყო.

გუნდის ბოლოდროინდელი თამაშით შეშფოთებულმა მმართველმა საბჭომ საგანგებო კრება სევილიიდან დაბრუნებისთანავე გამართა. „ვალენსიას“ პრეზიდენტი ხუან სოლერი ანდალუზიის დედაქალაქში კლუბს არ წაჰყოლია, ამიტომაც იგი პირშერცხვენილ კიკეს და მის გუნდს ოფისში დაელოდა.

კრება გვიან ღამით დასრულდა, შემდეგ კი კლუბის კომუნიკაციათა დირექტორმა ხესუს ვოლშტეინმა ჟურნალისტებს კიკე სანჩეს ფლორესის მოხსნის მაუწყებელი ოფიციალური კომუნიკე გააცნო:

„ვალენსიას“ მმართველმა საბჭომ კლუბის სპორტული დირექტორის მიგელ ანხელ რუისის განცხადების საფუძველზე გუნდში არსებული მძიმე სიტუაციის შესახებ იმსჯელა და დაადგინა, რომ პრიმერაში და ჩემპიონთა ლიგაში მიღწეული არასასურველი შედეგების გამო კიკე ფლორესი თანამდებობაზე აღარ დარჩება. ამ მოვალეობას დროებით ოსკარ ფერნანდესი შეასრულებს, სანამ მმართველი საბჭო სხვა მწვრთნელს მოძებნის“.

კიკე სანჩეს ფლორესი „ღამურათა“ მწვრთნელად 2005-06 წლების სეზონის დასაწყისში დაამტკიცეს და „ვალენსიას“ ორ წელზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში მეთაურობდა. აწ უკვე ყოფილი დამრიგებელი თავკაცობას მაშინ ჩამოაშორებს, როცა „ვალენსიას“ მადრიდის „რეალთან“ მატჩამდე ორიოდე დღე დარჩა...

**ლადო ხომერიკი**

# ახალი ცოცხი ლეგენდა ყოფილა

**„სევილიაში“** მანოლო ხიმენესის სამწვრთნელო დებიუტი იღბლიანი გამოდგა, მისმა შეგირდებმა „სანჩეს პისხუანზე“ შესანიშნავად ითამაშეს და „ვალენსია“ დაამარცხეს.

„ტოტენჰემში“ გადაბარგებული ხუანდე რამოსის ნაცვლად მოსულმა კაცმა თავისი გუნდი მატჩის შემდეგ ფრიად შეაქო: „ეს გამარჯვება ფეხბურთელთა დამსახურებაა და არა მწვრთნელის, რადგანაც ძალიან ცოტა დრო მქონდა ბიჭებთან სამუშაოდ. „სევილიამ“ ბრწყინვალედ ითამაშა“.

პრიმერადივიზიონის მეათე ტურში სევილიელები მადრიდში ჩადიან „ატლეტიკოსთან“ სათამაშოდ და მანოლოს სამწვრთნელო ჩაუქობაც ალბათ ესპანეთის სატახტოში უკეთ გამოჩნდება.

შეიძლება, ხიმენესი „სევილიას“ ლეგენდადაც ჩაითვალოს, ანდალუზიელთა დღევანდელმა მწვრთნელმა ფეხბურთელებისას 14 სეზონის განმავლობაში ითამაშა „სანჩეს პისხუანზე“ და საკლუბო რეკორდიც დაამყარა — „სევილიას“ ისტორიაში 354 მატჩი არავის ჩაუტარებია.

მანოლო იანვარში 44 წლის გახდება, ესპანეთის ნაკრების მაისურით 15 მატჩში უთამაშია და 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეც არის.

ადრე „სევილიას“ ფილიალ გუნდში ნათავკაცები ხიმენესი ანდალუზიელთა მთავარი გუნდის დახვედრამ გაახარა: „ფეხბურთელებმაც და გულშემატკივრებმაც საოცრად თბილად მიმიღეს. ვეცდები, მათი ნდობა გავამართლო“.



**ლადო ხომერიკი**

# ვინ ჩაჰყოფს თავს ზვიგენის ხახაში

**ფრანგული** „ლიონის“ პრეზიდენტ ჟან-მიშელ ოლას ევროპაში „ზვიგენის“ მეტსახელით იცნობენ. ეს კაცი სატრანსფერო გარიგებისას იშვიათი სიჯიუტით და სიხარბით გამოირჩევა, თუმცა გრანდ კლუბებს ოლას ფანტასტიკური მადა, წესით, არ უნდა უკვირდეთ — „ლიონი“ მსურველებს, ტრადიციულად, ძლიერ ფეხბურთელებს სთავაზობს.

ოლას ბუდიდან ასაფრენი მორიგი სატრანსფერო მართვე ახალგაზრდა ვარსკვლავი ქარიმ ბენზემაა. მისი შეძენით კი მადრიდის „რეალი“ დაინტერესდა.

გალთა სკანდალურ პრეზიდენტსაც სხვა რაღა უნდოდა და მოთამაშეს ცეცხლის ფასი დაადო.

„ბენზემას „ლიონიდან“ 60 მილიონ ევროზე ნაკლებად ვერავინ წაიყვანს“ — წარბშეუხრელად განაცხადა ჟან-მიშელ ოლამ.

ესპანურმა გაზეთებმა ფრანგის საქციელს ავანტიურა უწოდეს, თუმცა არც „რეალის“ პრეზიდენტის ხელგაშლილობა დავიწყებიათ.

„60 არა, მაგრამ რამონ კალდერონმა მცველ პეპეში ზაფხულში 30 მილიონი ევრო ხომ გადაიხადა“ — დაწერა „მარკამ“.

**ლადო ხომერიკი**

# NO COMMENT



მადამ აგნე და მისი ადვოკატი

**ბურუსით** მოცული დროება უდგას ფრანგულ „ბორდოს“. გასული სეზონი იყო და, დიდი ვერაფერი აჩვენა, ახლაა და... თუმცა, სპორტულ მხარეზე არ ვლაპარაკობთ — საფრანგეთის პირველობაზე გუნდი მეოთხეზეა, უეფას თასზე კი ბოლო ტურში „გალათასარაის“ აჯობა. ჩვენ ჟირონდაში მიმდინარე ხმაურიან სასამართლო პროცესზე მოგახსენებთ: პოლიციამ აღმოაჩინა მადამ აგნეს საროსკიპო — ელიტარული, ძვირიანი დაწესებულება. და იცით, რა თქვა მადამ აგნემ ერთ-ერთ სხდომაზე? ჩემი გოგონების მუდმივ კლიენტთა შორის „ბორდოს“ რვა მოთამაშეც იყო, რომელთაგან სამი ძირითადი შემადგენლობის წევრიაო.

და რა არის აქ დასაძრახი? — იკითხავს ყველა ნამდვილი ქართველი. რა მოგახსენოთ, ჩვენი მხრიდან NO COMMENT.



# მარადონამ ბლატერს, პლატინის, პელეს და ბეკენბაუერს აგინა!

**დიეგო მარადონამ** ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი კვლავ გალანძღა და პელე, მიშელ პლატინი და ფრანც ბეკენბაუერიც ზედ მიაყოლა. დიეგო მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდებს მოთამაშეთა ინტერესების არაფრად ჩაგდებაში ადანაშაულებს.

„მე რომ ბლატერთან მივსულიყავი და პრეზიდენტი გულში ჩამეკრა, ფიფას დიდი ოჯახის წევრი გავხდებოდი, მაგრამ მაშინ პლატინის, პელესა და ბეკენბაუერის დარად ბო...ის შვილიც ვიქნებოდი“ — განაცხადა სკანდალების მოყვარულმა მეფემ კოლუმბიურ ტელევიზიასთან ინტერვიუში.

რატომ არიან ფეხბურთის დიადნი მარადონასთვის HIJOS DE PUTA?

„პლატინი უეფას მაფიის თავია, პელე ფიფას კბილებით იცავს, ხოლო ბეკენბაუერმა თავის სამშობლო გერმანიაში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარება გააჩალიჩა. ამ ხალხმა უზარმაზარი ქონება იშოვა, თუმცა ფეხბურთელთა დახმარებით თავს სრულებით არ იწუხებენ... რამდენია ამ ქვეყნად ისეთი ფეხბურთელი, რომელმაც ვარსკვლავურ დონეს ვერ მიაღწია და ამ ზვიგენების პოლიტიკის გამო სულ უფრო და უფრო იჩქმალება. მრავალი მოთამაშე შიმშილის ზღვარზეა“ — თქვა მარადონამ.

არგენტინელმა ისიც აღნიშნა, ბოსები თავისთან დიდი სიხარულით მიმიღებდნენ, მაგრამ მე „მაფიაში“ ყოფნა არ მიზიდავსო: „პელეს, ბლატერის, პლატინის და ბეკენბაუერის ადამიანური მოვალეობა მძიმე მდგომარეობაში მყოფთათვის დახმარებაა. თუ ისინი ამისთვის თავს არ იწუხებენ, ესე იგი, არც ისეთი ლეგენდარულნი ყოფილან, როგორც ამის თქმა საქვეყნოდ მიღებულია. უნდათ, მარადონას სახით კიდევ ერთი კორუმპირებული ძმაბიჭი იშოვონ, თუმცა ამ მაფიოზურ ოჯახში ყოფნა სრულებით არ მაინტერესებს“.

დიეგომ ინტერვიუს დასასრულს არგენტინის ნაკრებიც გააკრიტიკა. „ალბისელესტემ“ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში პირველი ორი მატჩი მოიგო, თუმცა დიეგო მაინც უკმაყოფილოა:

„იცით, ალფიო ბასილეს ნაკრების მთავარ პრობლემას რა წარმოადგენს? ის, რომ ფეხბურთელებს გამარჯვებისადმი ლტოლვა ნაკლებად ახასიათებთ. ბიჭებს უკვე რამდენჯერმე ვუთხარი, მოედანზე კარგი ფეხბურთელის სახელს ვერ იყიდი, ეს თავდადებულ ბრძოლაში უნდა დაიმსახურო. კაცი, რომელიც ბურთს მისდევს, ერთ ადგილზე არასდროს გაიყინება, შენს საქმეს და საკუთარ თავს პატივი უნდა სცე“.

**ლადო ხომერიკი**

# ოჯახის კაცი

**უი**, დედა, რამდენი ხანია, ზინედინ ზიდანისა არაფერი გვსმენია. ერთი ის გვახსოვს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მარკო მატერაცის მკერდში თავი რომ დაატაკა და მერე ერთი-ორ საქველმოქმედო ღონისძიებაზე გამოჩნდა ბანგლადეშში თუ სადღაც.

და აი, დაილოცოს გერმანული ჟურნალის BILD-ის პაპარაცი, ინდოეთის ოკეანის პირას, კუნძულ მარტინიკზე რომ ჩაუსაფრდა მილიონების საყვარელ ვარსკვლავსა და მის მეუღლეს.

აი, სად ყოფილა ამ დღეებში ჩვენი ზიზუ თავის ვერონიკასთან ერთად. შეგახსენებთ, ზინედინს და ვერონიკას ოთხი შვილი ჰყავთ...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 1 | უიგანი-ჩელსი | 8.00 | 4.00 | 1.35 | 2.66 | 1.15 | 1.00 |
| 16:45 | 3 | არსენალი-მანჩესტერი | 2.40 | 3.10 | 2.75 | 1.35 | 1.28 | 1.45 |
| 19:00 | 4 | ასტონ ვილა-დერბი | 1.37 | 4.00 | 8.00 | 1.02 | 1.16 | 2.66 |
| 19:00 | 5 | ევერტონი-ბირმინგემი | 1.60 | 3.30 | 5.50 | 1.07 | 1.23 | 2.06 |
| 19:00 | 6 | ფულემი-რედინგი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 19:00 | 7 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 2.65 | 3.20 | 2.50 | 1.44 | 1.28 | 1.40 |
| 19:00 | 8 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 21:15 | 9 | ბლექბერნი-ლივერპული | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| | | 4 ნოემბერი | | | | | | |
| 20:00 | 10 | ვესტ ჰემი-ბოლტონი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| | | 5 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 12 | სიტი-სანდერლენდი | 1.45 | 3.70 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.42 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 40 | ნოტინგემი-ოლდემი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:30 | 139 | ზალცბურგი-რაპიდი | 1.60 | 3.40 | 4.70 | 1.08 | 1.19 | 1.97 |
| | | 31 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 140 | ლინცერი-ტიროლი | 1.40 | 3.70 | 6.70 | 1.01 | 1.15 | 2.38 |
| 20:00 | 141 | აუსტრია-მატერსბურგი | 1.80 | 3.20 | 3.85 | 1.15 | 1.22 | 1.74 |
| 22:30 | 142 | აუსტრია კერნტენი-ალტახი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 22:30 | 143 | შტურმი-რიდი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| | | ავსტრია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 151 | შვადორფი-ზალცბურგი მ | 2.15 | 3.00 | 3.00 | 1.25 | 1.25 | 1.50 |
| 21:00 | 152 | ბად აუსეე-აუსტრია ლუსტენაუ | 4.10 | 3.10 | 1.75 | 1.76 | 1.22 | 1.11 |
| 21:00 | 153 | შვანენშტადტი-გრატკორნი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 21:00 | 154 | ლუსტენაუ-პარნდორფი | 1.65 | 3.10 | 4.70 | 1.07 | 1.22 | 1.86 |
| 21:00 | 155 | კაფენბერგი-კერნტენი | 1.35 | 3.80 | 7.50 | 1.00 | 1.14 | 2.52 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 31 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45. | 162 | სტ-გალენი-ციურიხი | 3.70 | 3.20 | 1.85 | 1.71 | 1.23 | 1.17 |
| 22:45 | 163 | გრასჰოპერი-ლუცერნი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 22:45 | 164 | სიონი-ბაზელი | 4.00 | 3.20 | 1.80 | 1.77 | 1.24 | 1.15 |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 22:45 | 165 | აარაუ-თუნი | 2.05 | 3.10 | 3.20 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| 22:45 | 166 | იანგ ბოიზი-ქსამაქსი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 31 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:30 | 181 | რეჯინა-ლივორნო | 1.90 | 3.00 | 4.10 | 1.16 | 1.29 | 1.73 |
| 23:30 | 182 | რომა-ლაციო | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| 23:30 | 184 | სამპდორია-მილანი | 3.40 | 3.00 | 2.10 | 1.59 | 1.29 | 1.23 |
| 23:30 | 185 | სიენა-კატანია | 2.05 | 2.80 | 3.80 | 1.18 | 1.33 | 1.61 |
| 23:30 | 186 | უდინეზე-ტორინო | 1.80 | 3.10 | 4.50 | 1.13 | 1.28 | 1.83 |
| 23:30 | 187 | ატალანტა-კალიარი | 1.75 | 3.10 | 4.80 | 1.11 | 1.28 | 1.88 |
| 23:30 | 188 | ფიორენტინა-ნაპოლი | 1.65 | 3.30 | 5.20 | 1.10 | 1.25 | 2.01 |
| 23:30 | 189 | ინტერი-ჯენოა | 1.25 | 4.80 | 12.00 | 1.00 | 1.13 | 3.42 |
| 23:30 | 191 | იუვენტუსი-ემპოლი | 1.30 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |
| 23:30 | 193 | პალერმო-პარმა | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:30 | 205 | რიმინი-პიაჩენცა | 1.60 | 3.10 | 6.00 | 1.05 | 1.26 | 2.04 |
| 23:30 | 206 | სპეცია-ბრეშა | 3.20 | 2.80 | 2.20 | 1.49 | 1.30 | 1.23 |
| 23:30 | 207 | ტრევიზო-ფროზინონე | 2.40 | 2.80 | 2.90 | 1.29 | 1.31 | 1.42 |
| 23:30 | 208 | ტრიესტინა-ბარი | 2.25 | 2.80 | 3.20 | 1.24 | 1.32 | 1.49 |
| 23:30 | 209 | აველინო-რავენა | 2.30 | 2.80 | 3.10 | 1.26 | 1.32 | 1.47 |
| 23:30 | 210 | ბოლონია-ასკოლი | 1.65 | 3.00 | 5.50 | 1.06 | 1.26 | 1.94 |
| 23:30 | 211 | კივო-ალბინოლეფე | 1.80 | 2.90 | 4.55 | 1.11 | 1.28 | 1.77 |
| 23:30 | 212 | ლეჩე-გროსეტო | 1.50 | 3.20 | 7.00 | 1.02 | 1.23 | 2.19 |
| 23:30 | 213 | მანტოვა-ჩეზენა | 1.50 | 3.20 | 7.00 | 1.02 | 1.23 | 2.19 |
| 23:30 | 214 | მესინა-ვიჩენცა | 1.70 | 3.00 | 5.20 | 1.08 | 1.28 | 1.90 |
| 23:30 | 215 | პიზა-მოდენა | 2.05 | 2.80 | 3.75 | 1.18 | 1.32 | 1.60 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 31 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 263 | ატლეტიკო-ხეტაფე | 2.25 | 3.00 | 3.00 | 1.28 | 1.28 | 1.50 |
| 23:00 | 264 | ვილიარეალი-ლევანტე | 1.22 | 4.70 | 11.00 | 1.00 | 1.09 | 3.29 |
| 23:00 | 266 | ალმერია-სარაგოსა | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 23:00 | 269 | ბეტისი-ოსასუნა | 2.00 | 3.00 | 3.60 | 1.20 | 1.28 | 1.63 |
| 23:00 | 270 | ხეტაფე-ბილბაო | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 23:00 | 271 | უელვა-რასინგი | 2.20 | 3.00 | 3.15 | 1.26 | 1.29 | 1.53 |
| 23:45 | 272 | ესპანიოლი-მურსია | 1.55 | 3.40 | 6.00 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| 23:00 | 273 | დეპორტივო-მალიორკა | 2.20 | 3.10 | 3.10 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| 23:45 | 274 | ვალენსია-რეალი | 2.60 | 2.90 | 2.65 | 1.37 | 1.31 | 1.38 |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 267 | ვალიადოლიდი-ბარსელონა | 7.50 | 3.50 | 1.45 | 2.38 | 1.21 | 1.02 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გერმანია. თასი | | | | | | |
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 554 | ვერდერი(მ)-ზტ.პაული | 3.70 | 3.30 | 1.85 | 1.74 | 1.23 | 1.18 |
| 22:00 | 555 | ვუპერტალი-ჰერტა | 4.40 | 3.20 | 1.65 | 1.85 | 1.20 | 1.08 |
| 22:00 | 558 | ჰოფენჰაიმი-ფიურტი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 22:00 | 559 | მიუნხენი1860-მაინცი | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 22:00 | 560 | ალემანია-ბოხუმი | 2.35 | 3.00 | 2.65 | 1.31 | 1.24 | 1.40 |
| 22:00 | 562 | კარლსრუე-ვოლფსბურგი | 2.25 | 3.00 | 2.75 | 1.28 | 1.23 | 1.43 |
| 22:00 | 566 | შალკე-ჰანოვერი | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 22:00 | 567 | ჰანზა-ოფენბახი | 1.50 | 3.40 | 5.00 | 1.04 | 1.15 | 2.02 |
| | | 31 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 556 | ჰამბურგი-ფრაიბურგი | 1.35 | 3.80 | 6.70 | 1.00 | 1.12 | 2.42 |
| 22:00 | 557 | შტუტგარტი-პადერბორნი | 1.25 | 5.00 | 8.90 | 1.00 | 1.09 | 3.20 |
| 22:00 | 561 | ესენი-კაიზერსლაუტერნი | 2.90 | 3.10 | 2.10 | 1.49 | 1.21 | 1.25 |
| 22:00 | 563 | კარლ ცაისი-ნიურნბერგი | 3.30 | 3.20 | 1.95 | 1.62 | 1.22 | 1.21 |
| 22:00 | 564 | კობლენცი-არმინია | 2.70 | 3.10 | 2.20 | 1.44 | 1.21 | 1.28 |
| 22:00 | 568 | ვერდერი-დუისბურგი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 23:30 | 569 | ბაიერნი-მიონხენგლადბახი | 1.18 | 5.30 | 11.00 | 1.00 | 1.06 | 3.57 |
| | | ინგლისი. თასი | | | | | | |
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 572 | ქოვენთრი-ვესტ ჰემი | 3.30 | 3.30 | 1.95 | 1.64 | 1.22 | 1.22 |
| | | 31 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 570 | ბოლტონი-სიტი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 23:45 | 571 | ჩელსი-ლესტერი | 1.15 | 6.00 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.10 |
| 23:45 | 573 | ლივერპული-კარდიფი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 23:45 | 574 | ლუტონი-ევერტონი | 5.50 | 3.50 | 1.55 | 2.13 | 1.20 | 1.07 |
| 23:45 | 575 | პორტსმუთი-ბლექბერნი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 23:45 | 576 | შეფილდი-არსენალი | 5.50 | 3.50 | 1.55 | 2.13 | 1.20 | 1.07 |
| 23:45 | 577 | ტოტენჰემი-ბლეკპული | 1.20 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.62 |
| | | შოტლანდია. თასი | | | | | | |
| | | 31 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 578 | აბერდინი-ინვერნესი | 1.60 | 3.40 | 4.75 | 1.08 | 1.19 | 1.98 |
| 23:45 | 579 | სელტიკი-ჰართსი | 1.32 | 4.30 | 7.30 | 1.00 | 1.11 | 2.70 |
| 23:45 | 580 | დანდი იუნაიტედი-ჰამილტონი | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 23:45 | 581 | მოზერუელი-რეინჯერსი | 5.30 | 3.50 | 1.55 | 2.10 | 1.19 | 1.07 |
| | | საფრანგეთი. თასი | | | | | | |
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 585 | ნანსი-ამიენი | 1.27 | 4.10 | 8.00 | 1.00 | 1.09 | 2.71 |
| 22:00 | 586 | ოსერი-ნიცა | 2.00 | 2.90 | 3.45 | 1.18 | 1.26 | 1.57 |
| 23:45 | 587 | მარსელი-მეცი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| | | 31 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 583 | კაენი-ლიონი | 4.50 | 3.10 | 1.70 | 1.83 | 1.23 | 1.09 |
| 20:00 | 584 | მონაკო-ლანსი | 2.05 | 2.80 | 3.65 | 1.18 | 1.31 | 1.58 |
| 21:00 | 588 | რენი-ვალენსიენსი | 1.75 | 3.10 | 4.50 | 1.11 | 1.25 | 1.83 |
| 22:00 | 589 | პსჟ-მონპელიე | 1.45 | 3.50 | 7.00 | 1.02 | 1.20 | 2.33 |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 582 | ნიორი-ლე მანი | 3.80 | 3.10 | 1.90 | 1.70 | 1.26 | 1.17 |
| | | ჰოლანდია. თასი | | | | | | |
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 590 | ჰერაკლესი-ომნივორლდი | 1.35 | 3.90 | 7.40 | 1.00 | 1.14 | 2.55 |
| 23:45 | 591 | მაასტრიხტი-დორდრეხტი | 1.95 | 3.20 | 3.35 | 1.21 | 1.23 | 1.63 |
| 23:45 | 592 | სიტარდი-დენ ბოსხი | 3.10 | 3.10 | 2.10 | 1.54 | 1.25 | 1.25 |
| 23:45 | 593 | ზვოლე-იგლზი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 23:45 | 594 | კამბური-ექსელსიორი | 3.30 | 3.20 | 1.90 | 1.62 | 1.20 | 1.19 |
| 23:45 | 595 | ვინდჰოვენი-ჰაარლემი | 2.05 | 3.10 | 3.10 | 1.23 | 1.23 | 1.54 |
| 23:45 | 596 | როდა-გრააფსხაპი | 1.55 | 3.60 | 4.80 | 1.08 | 1.17 | 2.05 |
| | | რუსეთი. თასი | | | | | | |
| | | 31 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:30 | 599 | ზენიტი-ტომსკი | 1.40 | 3.60 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 2.37 |
| 19:00 | 600 | ცსკა მ-ნალჩიკი | 1.35 | 3.70 | 8.50 | 1.00 | 1.16 | 2.57 |
| | | ფინეთი. თასი | | | | | | |
| | | 31 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:30 | 30 | ტამპერე-ოულუ | 1.25 | 4.40 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.05 |
| | | ჰოკეი. შვედეთი | | | | | | |
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 705 | მოდო-ფროლუნდა | 1.90 | 4.20 | 2.50 | 1.30 | 1.07 | 1.56 |
| 21:00 | 706 | ფერიესტადი-სოდერტელიე | 1.40 | 4.40 | 4.30 | 1.06 | 1.05 | 2.17 |
| 21:00 | 707 | თურგორდენი-ბრიუნესი | 1.90 | 4.20 | 2.50 | 1.30 | 1.07 | 1.56 |
| | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | | |
| | | 31 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 809 | ლოკომოტივი-მვდ | 1.30 | 4.30 | 4.10 | 1.00 | 1.00 | 2.09 |
| 19:30 | 810 | სევერსტალი-დინამო | 2.00 | 4.20 | 2.10 | 1.35 | 1.02 | 1.39 |
| 19:30 | 811 | აკ ბარსი-სპარტაკი | 1.20 | 5.20 | 5.50 | 1.00 | 1.00 | 2.67 |
| 20:00 | 812 | ნეფტეხიმიკი-ავანგარდი | 2.30 | 4.10 | 1.75 | 1.47 | 1.00 | 1.22 |
| 17:00 | 817 | ს.იულაევი-ვიტიაზი | 1.12 | 5.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 2.72 |
| 18:30 | 818 | ლადა-ამური | 1.20 | 5.30 | 4.50 | 1.00 | 1.00 | 2.43 |

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

ევროთასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

# სახელშეცვლილები სახის დაბრუნებას ცდილობენ

## საქართველოში საკლუბო ევროპა გამოჩნდა

სპორტის სასახლე. 18.30

**ენერჯი-ინვესტი — მაიგუაიდი**

რუსთავი, საქართველო — ამსტერდამი, ჰოლანდია





შივეკ არიკი

ხუთი წელია, ქართულ კლუბებს ევროტურნირებში არ უთამაშიათ. მიზეზი ელემენტარული იყო — უფულობა. ეს ხანგრძლივი იზოლაცია დღეს სრულდება: რუსთავის „ენერჯი-ინვესტი" სპორტის სასახლეში ჰოლანდიურ „მაიგუაიდს" შეხვდება.

აქვე დავაზუსტოთ, რომ ამსტერდამულ კლუბს სულ ახლახან შეეცვალა სახელწოდება. როცა „ენერჯი-ინვესტის" მეტოქე კენჭისყრამ გამოარკვია, მას „ასტრონავტსი" ერქვა, მაგრამ როგორც გუშინ ამსტერდამელთა მენეჯერმა გვითხრა, გუნდს ახალი სპონსორი გამოუჩნდა და ახლა მისი სახელი ჰქვია.

მაშ ასე, „მაიგუაიდი" თბილისში გუშინ, გამთენიისას ჩამოფრინდა და მოსაღამოებულზე სპორტის სასახლეში ივარჯიშა. ამსტერდამელებს რომ კარგი გუნდი ჰყავთ, იქიდანაც ჩანს, რომ „შერატონში" დაბინავდნენ. ბოლო წლებში თბილისში ევროპული კლუბები არ ჩამოსულან, მაგრამ იყვნენ საკმაოდ წელგამართული ქვეყნის ნაკრებები, რომლებიც ღამის გასათევად შედარებით იაფ სასტუმროებს ირჩევდნენ. ავსტრიას, ფინეთს, ისლანდიას, „შერატონისკენ" არც გაუხედავთ...

ეს ნიშნავს, რომ „მაიგუაიდს" აქვს ფული და შესაბამისად ჰყავს ლეგიონერები. სწორედაც რომ ლეგიონერები, რადგან მაღალი დონის ჰოლანდიელი მოთამაშეები თითებზე დასათვლელია და ისინიც უფრო ძლიერ კლუბებში ღვრიან ოფლს.

ამსტერდამელებმა ამ ზაფხულს სამი ამერიკელი შეიმატეს, რომელთაგან ერთ-ერთს, ჯერონ რობერტს, ისრაელის მოქალაქეობა აქვს და სექტემბერში გამართულ ევროჩემპიონატზეც ითამაშა ისრაელის ნაკრებში. რობერტმა ისრაელის ნაკრების ყველა მატჩში მიიღო მონაწილეობა — ებრაელთა ხუთეულის წევრი გახლდათ და ამით მის კაიკალათბურთელობაზე ყველაფერია ნათქვამი. ამსტერდამელთა ამერიკელი ახალბედები არიან სერჯერიო გიპსონი და ავის ვატიც. ხოლო ამერიკელი ტამიენ ტრენტი და ებრაელი ალონ შტეინი გუნდში გასულ სეზონშიც თამაშობდნენ.

„მაიგუაიდი" ჰოლანდიის ტიტულიანი გუნდია. 1999 წლის შემდეგ ამსტერდამელები სამჯერ მიჯრით გახდნენ ქვეყნის ჩემპიონები, 2002-06 წლებში 4-ჯერ მეორეზე გავიდნენ, ხოლო ერთხელ ბრინჯაოს დასჯერდნენ. გასული სეზონი კი ერთ-ერთი ყველაზე წარუმატებელი იყო ამსტერდამელთა ისტორიაში, ისინი ჰოლანდიის ერედივიზიონში მე-6 ადგილზე გავიდნენ.

შიდაჩემპიონატის პარალელურად ამსტერდამელები შარშან ევროსარბიელზეც შერცხვნენ — ევროთასის ჯგუფში ექვსივე თამაში წააგეს. იმის წინა ევროსეზონში რუსთაველთა მეტოქემ ცოტა გაიფაფხურა და „სარბიელთან" ინტერვიუში ამსტერდამელთა ებრაელმა დამრიგებელმა შივეკ არიკმა სწორედ ამით მოიწონა თავი. ინტერვიუს ბოლოს შემოგთავაზებთ, ახლა კი „მაიგუადის" ვარჯიშზე ვთქვათ ორი სიტყვა.

ისე, ბევრს ვერც ვილაპარაკებთ, რადგან ამსტერდამელებმა დახურულად ივარჯიშეს, თუმც თხოვნის შემდეგ ჟურნალისტებსა და ფოტოგრაფებს 5-10 წუთით დასწრების ნება დაგვრთეს. თქმა არ უნდა, რომ „ენერჯი-ინვესტის" დარად, „მაიგუაიდის" მთავარი დასაყრდენი ლეგიონერები არიან. შავკანიანი მოთამაშეები ყველაზე აქტიურები იყვნენ ვარჯიშის დაწყებისას და მწვრთნელიც მათ გამორჩეულ ყურადღებას აქცევდა.

თუმცა ისიც სათქმელია, რომ ამსტერდამელებს საკმაოდ ძლიერი ჰოლანდიელი ცენტრი ჰყავთ: 210-სანტიმეტრიანი პეტერ ვან პასენი, რომელიც ძალიან გამოცდილია და ჰოლანდიის ნაკრებშიც არაერთხელ უყოჩაღია.

5-10 წუთი მხოლოდ გასახურებლად არ ეყოთ ამსტერდამელებს და მერე მათმა თავკაცმა ჟურნალისტებს დარბაზის დატოვება მოგვთხოვა. ეს მცირე ინტერვიუ კი ვარჯიშის დაწყებამდე ჩამოვართვით:

***შივეკ არიკი:***

— მე ამ გუნდში 2004-06 წლებში ვმუშაობდი, თუმცა მერე ერთი სეზონი სხვაგან ვიყავი და ამ ზაფხულს ისევ დავბრუნდი. „მაიგუაიდი", რომელსაც აქამდე „ასტრონავტსი" ერქვა, ჰოლანდიაში სახელიანი გუნდია — არაერთხელ მოუგია ჩემპიონობა და თასი. ულებ-ის თასზე 2 წლის წინ ჯგუფში 3 თამაში მოვიგეთ, თუმცა გასული სეზონი წარუმატებელი გამოდგა. ახლა იწყება გუნდის ხელახალი მშენებლობა და ძველი იმიჯის აღდგენას „ენერჯი-ინვესტთან" მატჩით ვიწყებთ.

**— რა იცით რუსთავულ გუნდზე?**

— ორი კვირის წინ აქ ჩვენი ხალხი გამოვუშვით, რუსთაველთა თამაშის ფირიც მოვიპოვეთ და გარკვეული წარმოდგენაც გვაქვს. სწრაფი და მობილური გუნდია „ენერჯი-ინვესტი" და ვფიქრობ, იოლი თამაში არ გველის.

**— ვის უფრთხით ყველაზე მეტად და ვინ არიან თქვენი გუნდის ლიდერები?**

— იოვან სტეფანოვი და 4 ნომერი (ლაშა გამყრელიძე) მომეწონა ყველაზე მეტად. რაც შეეხება ჩვენს ლიდერებს, მათ ხვალ იხილავთ.

**— შანსებს როგორ შეაფასებთ?**

— ეს ორრაუნდიანი დაპირისპირებაა და ვფიქრობ, ყველაფერი ამსტერდამში გადაწყდება. ორივე გუნდი ახალგაზრდულია და ასეთ დროს ძნელია, რომელიმეს მნიშვნელოვანი უპირატესობა მიანიჭო. ვფიქრობ, დონე დაახლოებით თანაბარია და ბევრი იქნება დამოკიდებული პატარ-პატარა ნიუანსებზე, გააჩნია, როგორ წავა თამაში, სროლა თუ წაგვივა და ასე შემდეგ. ისე კი, როგორ მწვრთნელს, მინდა, რომ ჩემმა გუნდმა ორივე თამაში მოიგოს და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ.

**— თქვენი გუნდი ისეთი ტაქტიკით ითამაშებს, როგორითაც საშინაო მატჩებში თამაშობს ხოლმე?**

— არა, რა თქმა უნდა. მასპინძელ გუნდს ყოველთვის აქვს უპირატესობა და „ენერჯი-ინვესტი" ამის გამოყენებას ეცდება. ჩვენც შესაბამის ტაქტიკას დავუპირისპირებთ და რა გამოგვივა, ხვალ გამოჩნდება.

**ირაკლი ბერტაია**

# კვირა ცოტა ქულებით

**გასული** კვირა მთლად ხვავიანი ვერ გამოდგა ქართველი ლეგიონერებისთვის. წამყვან საკალათბურთო ლიგებში მოთამაშეებმა თავი დიდად ვერ ისახელეს, თუმც გამონაკლისებიც იყო. გასული კვირის ყველაზე გამორჩეული ფიგურები გახდნენ ესპანურ „კახასოლში" მოთამაშე ტაირონ ელისი და ესტონური „როკის" გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე.

### ესტონეთი

მხოლოდ ბალტიის ლიგაზე მოუწია თამაში გასულ კვირაში ტარტუს „როკს", ესტონეთის ჩემპინატში დასვენება ჰქონდა. გიორგი ცინცაძის გუნდის მეტოქე იყო ლატვიური „ვალმიერა", რომლის წინააღმდეგობაც იოლად დაძლიეს ტარტუელებმა — 83:69.

ცინცაძემ ხუთეულში დაიწყო თამაში და მოედანზე 28 წუთი დაჰყო. მის ანგარიშზე 14 ქულა, 3 მოხსნა და 4 პასი იყო. მთლიანობაში გიორგიმ ცხრაჯერ ისროლა და მხოლოდ 2 გააუცუდა. მან 4 სამქულიანიდან 3 მოათავსა ვალმიერელთა კალათში და ზუსტად ასეთი სტატისტიკა ჰქონდა საჯარიმოს ხაზიდანაც. ის ტანელ ტეინთან ერთად თავისი გუნდის ბომბარდირი გახდა.

ეს იყო „როკერების" მეორე გამარჯვება ბალტიის ლიგაზე, თუმცა მათ უკვე დაუგროვდათ 3 მარცხი და ახლა ცხრილის მეხუთე საფეხურზე არიან.

### ესპანეთი

ქართულპასპორტიანი ტაირონ ელისის გუნდმა ესპანურ პრიმერადივიზიონში პირველი საამსეზონო გამარჯვება დააგემოვნა. „კახასოლის" მეტოქე იყო პრიმერადივიზიონის დებიუტანტი „ლეონი" იყო, რომელსაც მანამდე ერთი მოგება ჰქონდა.

სევილიელებმა დებიუტანტები 84:73 დაამარცხეს და ამ გამარჯვებით ცხრილის ფსკერს თავი დააღწიეს. ტაირონ ელისი თავისიანთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო 14 ქულით. მან ასევე სამჯერ მოხსნა ბურთი და 2 პასიც მიითვალა. ელისი ტრადიციულად ხუთეულში იყო და მოედანზე 37 წუთი გაატარა.

### იტალია

ნიკოლოზ ცქიტიშვილის „სივილია" აღარ ხუმრობს. იტალიის ციცქნა ქალაქ ტერამოს გუნდი სერია A-ში მეორე ადგილზე წამოჭიმულა და არაერთ გრანდს ზემოდან დაჰყურებს.

ტერამოელები ცხრილის მეზობელ „კანტუს" ესტუმრნენ და უდაბულეს, ოვერტაიმიან ბრძოლაში დაამარცხეს. ძირითადი დრო 78:78 დამთავრდა და დამატებითში „სივილიამ" ქულით იმარჯვა. ცქიტიშვილი ხუთეულში იყო და მოედანზე 23 წუთი გაატარა. ბოლო მატჩებში თავგამოჩენილმა ქართველმა ამჯერად ვერ ივარგა. მხოლოდ 4 ქულას მოუკრა პირი, თუმცა ფარზე არა უშავდა — 6 მოხსნა მოინაგრა. ტერამოელებს კვლავ კლეი ტაკერმა ულიდერა, რომელმაც 42 წუთში 29 ქულა შეაწია თავისიანებს.

### რუსეთი

რუსულ სუპერლიგაში პირველი მატჩი ჩააგდო ვლადიმერ ბოისამ. ეს მოხდა ვლადივოსტოკში, „სპარტაკ-პრიმორიე" მოსკოვის „ხიმკის" მასპინძლობდა და უიმედოდ, 51:75 დამარცხდა.

ვოვა პირველად არ იყო პრიმორიელთა ხუთეულში, თუმცა მოედანზე 24 წუთი კი გაატარა. მის ანგარიშზე ერთადერთი ქულაა, თუმცა ფარქვეშ აგრესია არ აკლდა — 6 ბურთი მოხსნა.

### უკრაინა

მანუჩარ მარკოიშვილმა პირველი უკრაინული მარცხი იწვნია, მაგრამ სრულიად უმოტივაციო მატჩში, თასის საპასუხო შეხვედრაში. „ბკ კიევმა" თანაქალაქელ "ბუდეველნიკს" პირველი შეხვედრა 43 ქულით მოუგო და მომდევნო თამაშში თავი აღარ მოუკლავს — შინ 12-ით წააგო და თასის გათამაშების მომდევნო წრეში გავიდა.

მარკოიშვილმა სათასო მატჩში თავი აცილებული სროლებით „გამოიჩინა". მან 7 სამიანი და 4 ორქულიანი გააცუდა, საბოლოოდ კი 1 ქულა დაუგროვდა, ცხადია, საჯარიმოს ხაზიდან მითვლილი.

ამ დონის თამაშში ჩავარდნა ყველას ეპატიება, აი, ჩემპიონატის მატჩში მარკოიშვილიცა და მისი თანაგუნდელებიც მობილიზებულნი იყვნენ და „სუმიხიმპრომს" სტუმრად შანსი არ დაუტოვეს. კიეველებმა 86:55 იმარჯვეს, მარკოიშვილმა კი 21 წუთში 8 ქულა, 2 მოხსნა და 3-3 ჩაჭრა-პასი მიითვალა. „ბკ კიევი" უკრაინულ სუპერლიგას 4 ტურის შემდეგ 4 გამარჯვებით ლიდერობს.

**ირაკლი ბერტაია**

# ამერიკა კალათბურთს ამაღამ იწყებს

**ჩვენი დროით ხვალ გამთენიისას ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია მორიგ რეგულარულ ჩემპიონატს იწყებს. 30 გუნდი ექვსთვიან და 82-თამაშიან გამოცდას გაივლის და აპრილის ბოლოს მათგან 16 გუნდი შეირჩევა პლეი ოფისთვის. დღეს აღმოსავლეთ კონფერენციის გუნდებს წარმოგიდგენთ, ხვალ კი დასავლელების სამზარეულოებში შევიხედოთ.**

## ატლანტიკის დივიზიონი

### ბოსტონ სელტიქსი

**ლიდერები:** პოლ პირსი, კევინ გარნეტი, რეი ალენი
**მწვრთნელი:** დოკ რივერსი

ბოლო წლებში, განსაკუთრებით კი უკანასკნელ სეზონში, ბოსტონელი „კელტები“ ყველაფერს ჰგავდნენ კარგი გუნდის გარდა და თამაშებს რომ ვერ იგებდნენ, გულშემატკივრებს წარსულის დიდებით კვებავდნენ: ჩვენ ყველაზე ბევრჯერ ვყოფილვართ ჩემპიონები და ეს ჩავარდნაც დროებითიაო. ამასობაში კი ბოლო ჩემპიონობიდან 21 წელი გავიდა. „კელტებს“ 2002 წელს აღმოსავლეთის ფინალში გასვლის შემდეგ სახეირო არაფერი შეუთავაზებიათ მაყურებლისთვის და მათ ტრიბუნებსაც ისევე მოაკლდა ხალხი, როგორც კლუბის ისტორიის მოხუც მთხრობელებს ალტაცებული მსმენელი.

მაგრამ, მადლობა კლუბის მამებს, წლეულს ახალი ინგლისის საკალათბურთო გურმანები სულ სხვა „სელტიქსს“ იხილავენ. კლუბმა დაიმატა ორი ვეტერანი მეგავარსკვლავი — კევინ გარნეტი და რეი ალენი. ამ ორს „ბოსტონში“ პოლ პირსი დახვდება და ეს სამეული, სულ ცოტა, დივიზიონში პირველობისკენ დაძრავს გუნდს. ტრიოს წევრები 30, 31, 32 წლის არიან და ჯამში 32 სეზონი და ყველა ვარსკვლავის 22 შეხვედრა უსხივოსნებთ ზურგს. მთავარი კი ისაა, რომ სამივეს სწყურია ჩემპიონობა — მანამდე კონფერენციის ფინალს ერთი მათგანიც არ გასცილებია — ასე რომ, მონდომების ნაკლებობა არ ეტყობათ. გასახურებელ თამაშებშიც რიგიანად გამოიყურებოდნენ. ეგაა, ამ ვარსკვლავთა შესაძენად კლუბმა ყველა ხეირიანი მოთამაშე დათმო და თითქმის არავინ შერჩა. ხუთეულში ადგილს შეავსებენ ვინმე რაჯონ რონდო (გამთამაშებელი?) და კენდრიკ პერკინსი (ცენტრი). მოკლედ, „ბოსტონ სელტიქსი“ კვლავ იპყრობს საკალათბურთო ამერიკის ყურადღებას. საინტერესოა, თვითონ საკალათბურთო ამერიკას თუ დაიპყრობს.

### ტორონტო რეპტორზი

**ლიდერები:** კრის ბოში, ანდრეა ბარნანი, ტიჯეი ფორდი
**მწვრთნელი:** სემ მიტჩელი

კარგი, საშუალო გუნდია, რომელსაც წინა სეზონში ბედმა გაუღიმა და დივიზიონში ხეირიანი მეტოქეები შემოაცალა. მანაც ამ ხუთეულში იპირველა, ოღონდ მერე პლეი ოფის პირველივე რაუნდში დამარცხდა გამოცდილ „ნიუ ჯერსისთან“. ამ სეზონში „რეპტილიები“ მეტის მიღწევას ეცდებიან. გუნდში მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. ერთი წლით გაიზარდა და დაბრძენდა ახმახი იტალიელი, 2006 წლის დრაფტის პირველი ნომერი ანდრეა ბარნანი, რომელიც ტორონტოელების გათვლებით, მალე კრის ბოშს შეეცილება პირველკაცობაში.

### ნიუ ჯერსი ნეთსი

**ლიდერები:** ვინს კარტერი, ჯეისონ კიდი, რიჩარდ ჯეფერსონი, ნენად კრსტიჩი
**მწვრთნელი:** ლოურენს ფრენკი

დაბერდა ჯეისონ კიდი, აგერ გაზაფხულზე 35 წლისა მოიყრება, მაგრამ მაინც ყოჩაღია და რქებით გააქვს მძლავრი ხნული. და სანამ ეს თეთრი გამთამაშებელი ჯანზე იქნება, მისი გუნდი ტალახში არასდროს დაეცემა. „ბადეებში“ ბევრიც არ შეცვლილა, ისევ იქ არიან ვინს კარტერი და რიჩი ჯეფერსონი. განვლილი სეზონის შუაწელს სერბი ნენად კრსტიჩი რომ დაიმტვრა, აღმოჩნდა, რომ გუნდს რიგიანი მეფარე არც აღარავინ ჰყავდა. მსგავსი შემთხვევისგან თავის დასაზღვევად როდ ტორნმა გუნდს ორი შავი მუშა — ჯამალ მაგლორი და მალიკ ალენი მოუყვანა. დანაკლისიც შესამჩნევია, ფორვარდი მიკი მური ნამდვილად გამოადგებოდა გუნდს. რეგულარულ ჩემპიონატში ნიუჯერსელები საშუალოებში ადგილის შენარჩუნებას და პლეი ოფში ხელსაყრელი მეტოქის შერჩევას შეეცდებიან, იმაში კი ეჭვი არავის ეპარება, რომ ეს გუნდი იქ ულაპარაკოდ მოხვდება.

### ნიუ იორკ ნიქსი

**ლიდერები:** სტივენ მარბერი, ზაკ რენდოლფი, ედი კარი, ჯამალ კროუფორდი
**მწვრთნელი:** აიზია ტომასი

ყველაზე დიდი ქალაქი ქვეყანაში — ნიუ იორკი. ყველაზე ცნობილი სპორტული დარბაზი ქვეყანაში — „მედისონ სკვერ გარდენი“, ყველაზე დიდი ფული, ყველაზე მომთხოვნი და კაპრიზული მაყურებელი... მოკლედ, ყველაზე, ყველაზე! მაგრამ ეს „ნიუ იორკ ნიქსი“ რომ ვერ ჯდება ყველაზე ამბიციური გუნდის სტანდარტებში? არა, მოთამაშეებს, იცოცხლეთ, ამბიცია აქვთ, მაგრამ ეს „ყველაზე, ყველაზე“ ნამდვილად არ ასხამს მათ წისქვილზე წყალს. ნიჭიერი მოთამაშეები „ნიქსს“ არც ახლა აკლია. ბოლო წლებში თავისივე ამბიციებში ჩაძირული გუნდი, სავარაუდოდ, ვერც ამ სეზონში გაერევა თუნდაც საშუალოებში. სტივენ მარბერის, ედი კარის და სხვა „ძველ ბიჭებს“ კიდევ ერთი მიემატათ — „პორტლენდიდან“ გადმოსული ზაკ რენდოლფი საუკეთესო მეჭურჭლეობასა და მომხსნელობაზე გაიწევს და ესეც კიდევ ერთი მიზეზი იქნება შიდა გათიშულობისთვის. ნიჭისდა მიუხედავად, ნიუორკელებმა მაინც ვერ ისწავლეს ორი რამ: ბურთის გაყოფა და დაცვაში თამაში. ბედის ირონიით, ამ გუნდს ისეთი კაცი წვრთნის, რომელიც სწორედ ამ კომპონენტებში იყო ძალზე ძლიერი და თავისი ეპოქის ერთ-ერთი ლეგენდაც გახლდათ. აიზია ტომასმა ვერა და ვერ გახედნა მის ხელში თავმოყრილი თვითაღიარებული ვარსკვლავები. არადა, შარშან მას კლუბის მფლობელმა სეზონის დაწყებამდე წაუყენა მკაცრი ულტიმატუმი — ან „ნიქსს“ პლეი ოფში გაიყვან, ან სხვა გუნდი ეძიეო. ვერ გაიყვანა, მაგრამ ტომასი ჯერჯერობით მაინც რჩება თავის მორყეულ სკამზე. ჯერჯერობით...

### ფილადელფია სიქსერზი

**ლიდერები:** ანდრე იგუდალა, ანდრე მილერი
**მწვრთნელი:** მორის ჩიქსი

ეს გუნდი 1996 წლის შემდეგ ძალიან ერთფეროვნად თამაშობდა: პრინციპი ასეთი იყო: „როგორც კი ბურთს მიიღებ, მაშინვე მიაჩეჩე ალენ აივერსონს.“ ბოლო ხანებში ეს მეთოდი მოძველდა და ხანგრძლივი განსჯის შემდეგ გუნდმა აივერსონის გაშვება გარისკა და თავიდან აღმშენებლობას შეუდგა. „სიქსერზს“ ჰყავს ერთი კარგი მოთამაშე ანდრე იგუდალა, რომელსაც ბევრი რამ შეუძლია, მაგალითად, ლამაზად ჩატენვა, დაფარება, ბევრი ბურთის ჩაგდება, ხალხის აღფრთოვანება და ასე შემდეგ... მაგრამ მას ჯერ არ შეუძლია მთავარი რამის კეთება, თამაშის მოგება. ამიტომ სანამ ამ უცნაური გვარის ბიჭუნას ნორმალურ თანაგუნდელებს უშოვნიან, გუნდი ლამაზად წაგებებს გააგრძელებს.

## ცენტრალური დივიზიონი

### ჩიკაგო ბულზი

**ლიდერები:** ბენ გორდონი, ლუოლ დენგი, კირკ ჰაინრიხი, ბენ ვოლესი, ანდრეას ნოჩიონი
**მწვრთნელი:** სკოტ სკაილზი

გაგიჭირდება აუგის თქმა, გადასარევი გუნდია, ნიჭიერი და მონდომებული ბიჭებით სავსე. კი ბატონო, ბენ გორდონი მაიკლ ჯორდანი არაა და ვერც ლუოლ დენგი გასწევს სკოტი პიპენის მაგივრობას, მაგრამ ჩიკაგოელ „ხარებს“ კვლავ მოუვიდათ მწვერვალებზე შეტევის ჟამი. ფესვებით სუდანელი, პასპორტით ბრიტანელი და განათლებით ამერიკელი დენგი ყოველწლიურად უმატებს და დიდწილად მისი დამსახურების წყალობით ამ გაზაფხულზე „ჩიკაგომ“ პლეი ოფის პირველ რაუნდში თვით ჩემპიონი „მაიამი“ დაამარცხა თავისი დუეინ ვეიდით და შაკილ ონილით, თანაც 4:0 ანგარიშით. დენგი თავის პირველ ოლ სტარზე ფიქრობს, გულშემატკივრები კი თავიანთი გუნდის ფინალში ხილვაზე. „ხარები“ ძალიან ძლიერები არიან პერიმეტრიდან და საშუალო დისტანციიდან, მაგრამ შეტევაში მოისაკლისებენ სამწამიანში მბორგავ დიდ სხეულს. ლიგის საუკეთესო დამცველად ოთხჯერ აღიარებული ბენ ვოლესი შეტევაში არასდროს ბრწყინავდა, თანაც ასაკმაც მოუკაკუნა და დაცვაშიც ჩამოაჭრა ციფრები, მაგრამ ასეა თუ ისე, „ჩიკაგო“ მაინც აღმოსავლეთის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება.

### დეტროიტ პისტონზი

**ლიდერები:** ჩონსი ბილაფსი, რიჩარდ ჰამილტონი, ტაიშონ პრინსი, რაშიდ ვოლესი
**მწვრთნელი:** ფლიპ სანდერსი

დეტროიტელებმა 2004 წელს პლეი ოფის ფინალი მოიგეს, 2005-შიც ფინალში იყვნენ, ბოლო ხუთი წელია, აღმოსავლეთში სულ ცოტა, ორ მეტოქეს უგებენ და თითქმის ყოველთვის ფავორიტობენ, მაგრამ „პისტონზი“ მაინც დაღმავალ გუნდად ჩაითვლება. გაცვდნენ „დგუშები“, ძველებურად იდეალურად ვერ მუშაობენ. აგერ სულ ბოლო პლეი ოფში აღმოსავლეთის ფინალში ახალგაზრდა ვარსკვლავ ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდთან“ წააგეს, რისთვისაც პირველ რიგში მწვრთნელ ფლიპ სანდერსს „მოხვდა“. გუნდს აშკარად რაღაცის (ვიღაცის) შეცვლა სჭირდება, მაგრამ შეფ ჯო დუმარსს უჭირს თავისი ხელით აშენებული სუპერხუთეულის დანგრევა. არავინ ემეტება გასაშვებად. მისი ნება რომ ყოფილიყო, ერთი წლის წინ ბენ ვოლესსაც თავისთან დააბამდა. „დეტროიტი“ მაინც მძლავრ გუნდად ითვლება და თავისას ეცდება, მაგრამ წლეულს აღმოსავლეთი გაცილებით ძლიერია — „ბოსტონი“, „ჩიკაგო“, „კლივლენდი“, „მაიამი“- ყველანი მისი უშუალო კონკურენტები არიან.

### კლივლენდ კავალიერზი

**ლიდერები:** ლებრონ ჯეიმსი, ჟიდრუნას ილგაუსკასი, დანიელ გიბსონი
**მწვრთნელი:** მაიკ ბრაუნი

„კლივლენდი“ რომ ფინალში გავიდა, ეს იყო და არც იყო მოულოდნელობა. ამერიკული პრესა წლების განმავლობაში კიჟინებს, მაიკლ ჯორდანის შემდეგ ლებრონ ჯე-




გვულშიამ „ბოსტონის“ სამი თავი: პოლ პირსი, კევინ გარნეტი და რეი ალენი

იმსისთანა მრავალმხრივ ნიჭიერი და განვითარებული სუპერმოთამაშე არ გამოჩენილაო. ოღონდ ლებრონისთვის ალბათ ჯერ მაინც ადრე იყო ფინალი და ეს მისი გუნდის 0:4 განადგურებიდანაც ჩანს. და რას შვრება ამ დროს 22 წლის მულტიმილიონერი ვარსკვლავი? იმის ნაცვლად, რომ კარგად გამოეძინა, მერე კი ასე 3-4 კვირით ჰავაის კუნძულებზე გაფრენილიყო და იქიდან კიდევ რა ვიცი, სად, ლებრონმა სავარჯიშო დარბაზის კარი შეაღო და მთელი ზაფხული იქ ოფლში იწურებოდა. შედეგად ისეთ ფორმაში ხვდება თავის მეხუთე სეზონს, რომ თანაგუნდელებსაც კი აშინებს, ემანდ ამ კუნთების მთამ სპარინგისას ჩვენ არ დაგვაინვალიდოსო.

მის გუნდში კი ბევრიც არაფერი შეცვლილა. ერიკ სნოუ დაბერდა და ბურთი უვარდება ხელიდან, საშა პავლოვიჩი კი ტრავმას იშუშებს. ლებრონს კვლავ თავად მოუწევს ბურთის კონტროლი და ძალიან ბევრი ქულების ხვეჭა. „კავალერიას" აფერხებს მსროლელ ლარი ჰიუზის ტრავმა. ეს კაცი სეზონში 12 მილიონს იღებს, სანაცვლოდ კი სულ დამტვრეულია.

### ინდიანა პეისერზი

**ლიდერები: ჯერმენ ონილი, ჯამაალ ტინსლი, მაიკ დანლივი**
**მწვრთნელი: ჯიმ ობრაიენი**

გუნდი, რომელსაც ლარი ბერდი პრეზიდენტობს, არ შეიძლება, კარგი არ იყოს, მაგრამ „ინდიანაზე" კარგის გარდა ყველაფრის თქმა შეიძლება. 2004 წლის შემოდგომას დეტროიტში მაყურებლებთან რომ იჩხუბა, „ინდიანას" სწორედ მას შემდეგ დაენგრა ყველაფერი. ჯერ დისკვალიფიკაციები, მერე ტრავმები, ათასი ცუდი რამერუმეები... ჯერმენ ონილი ითხოვდა, გამცვალეთო. მერე ლარისთან რომ ისაუბრა, გადაიფიქრა, დარჩა და ახალი გუნდიც მის გარშემო შენდება. ნერვებმოშლილმა ბერდმა მეგობარი რიკ კარლაილი გააგდო, მწვრთნელად ჯიმ ობრაიენი მოიწვია და იმედი აქვს, ეს კაცი ააჩქარებს მის გუნდს შეტევაში. ამ სეზონში პლეი ოფში გასვლაც არ იქნება ურიგო, მაგრამ ამ შედეგსაც მიღწევა უნდა.

### მილუოკი ბაქსი

**ლიდერები: მაიკლ რედი, ბობი საიმონსი, მორის უილიამსი, ენდრიუ ბოგუტი**
**მწვრთნელი: ლარი კრისტოვიაკი**

მილუოკელებს წინა სეზონში პლეი ოფში მოხვედრისთვის უნდა ებრძოლათ და შუა რეგულარულშივე ამოიგდეს ეს ფიქრები თავიდან. მიზეზი ლიდერთა გაუთავებელი ტრავმიანობა იყო: რედმა 29 თამაში გამოტოვა, ვილანუევამ — 43, საწყალმა ბობი საიმონსმა კი — უკლებლივ 82-ვე. ვერ იყო ჯანზე ენდრიუ ბოგუტიც. ახლა თითქოს ყველა კარგ ფორმაშია, თან მათ დაემატათ დესმონდ მეისონი და ახალბედა ჩინელი მეფარე იი ძიანლიანი. ამ ხალხმა თუ ტრავმები აირიდა და თანაც დაცვაშიც არ იზარმაცა, „ბაქსს" არც ქულები მოაკლდება და არც მოგებები. ისე კი „მილუოკის" მაქსიმუმიც, „ინდიანას" დარად, საშუალებში ადგილის დამკვიდრება იქნება.

## სამხრეთაღმოსავლეთი დივიზიონი

### ორლანდო მეჯიქი

**ლიდერები: დუაიტ ჰოვარდი, რაშარდ ლუისი, ჯამეერ ნელსონი**
**მწვრთნელი: ჯეფ ვან განდი**

ფლორიდელები ახალ სეზონს ორი მნიშვნელოვანი სიახლით ხვდებიან, რომელთაგან, რაღა თქმა უნდა, ერთი კარგია და მეორე — ცუდი. კარგი ისაა, რომ მათ მრაალტანჯულ ვეტერან გრანტ ჰილს შვიდწლიანი და მრავალმილიონიანი კონტრაქტი დაუმთავრდა და გუნდის მწვრთნელ-შეფმედიკოსებსაც ძილი დაუმშვიდდებათ. ცუდი კი ისაა, რომ სახელფასო ფონდში ჰილის წასვლის შემდეგ გამოთავისუფლებულ მილიონებს „სიეტლიდან" გადმოსული რაშარდ ლუისი დაეპატრონა, მან კი უკვე მეორე საგამოფენო თამაშში იტკინა კოჭი. ამ ამბის გამგონე მწვრთნელ-შეფ-მედიკოსებს კვლავ გაუკრთათ ძილი. მათ ლუისი ქვასავით მაგარი სჭირდებათ, რათა მან 118-მილიონიანი კონტრაქტი სრულად გაამართლოს. მთლიანობაში „მეჯიქი" მაინც მოღონიერდა. წინა სეზონი ფლორიდელებმა რიხით კი დაიწყეს, მაგრამ სადღაც შუაში გაუთავდათ საწვავი და ძლივს უწიეს პლეი ოფს, გუნდს ლუისთან ერთად ულიდერებს ცენტრი დუაიტ ჰოვარდი, რომელსაც აღმოსავლეთში უძლიერესი მეფარის სტატუსის მოპოვება სურს. კარგი მონაპოვარია მწვრთნელი ჯეფ ვან განდიც, რომელიც რატომღაც გაუშვა „ჰიუსტონმა" და მას მაშინვე „ორლანდო" დააცხრა.

### ვაშინგტონ ვიზარდსი

**ლიდერები: ჯილბერტ არენასი, კერონ ბატლერი, ანთაუნ ჯემისონი**
**მწვრთნელი: ედი ჯორდანი**

ედი ჯორდანი გამუდმებით ჩასჩიჩინებს თავის შეგირდებს, თუ გინდათ, მართლა სერიოზულ გუნდად იქცეთ, დაცვაში თამაში უნდა ისწავლოთო, მაგრამ ეს მგლის თავზე სახარების კითხვას ჰგავს. ერთხელ ჯილბერტ არენასმა ხელიც აუქნია — ედი, ძმობილო, დაცვაზე ფიქრს რომ ვიწყებთ, მაშინ შეტევაც აღარ გამოგვდისო და დამრიგებელს გვარიანადაც წაუხდინა ხასიათი. სეზონის ბოლოს კი დედაქალაქელებს შეტევაც მოეშალათ, რადგან არენასიც დაიმტვრა და კერონ ბატლერიც და მათ გარეშე „ჯადოქრებმა" პლეი ოფის პირველ რაუნდში 0:4 წააგეს „კლივლენდთან". ახლა თითქოს ყველა ლიდერი ფორმაშია. გუნდს მოაკლდა სათადარიგო ცენტრი იტან ტომასი, რომელმაც გულის ოპერაცია გაიკეთა და ერთი წელი დაასვენებს გაკვეთილ მკერდს. ეს გუნდს წაადგება კიდეც, რაკი ტომასი გამუდმებით ჩხუბობდა ძირითად ცენტრ ბრენდან ჰეივუდთან და თანაგუნდელებს არაერთხელ მოუხდათ ამ ორ მძიმეწონოსანს შორის ჩადგომა. „ვაშინგტონი" კვლავ იბრძოლებს დივიზიონში პირველობისთვის და პლეი ოფში სულ ცოტა, ერთი რაუნდის გავლასაც ეცდება. მეტი რა მოგახსენოთ, იქით უკვე მართლა კარგი გუნდები დახვდებიან და იმ დაუცავ კალათას ამოუვსებენ.

### მაიამი ჰითი

**ლიდერები: დუეინ ვეიდი, შაკილ ონილი, რიკი დევისი**
**მწვრთნელი: პატ რაილი**

შაკილ ონილი რომ 3-4 წლით ახალგაზრდა იყოს, ეს გუნდი პლეი ოფში ყველას მილეწვას ეცდებოდა და ჩემპიონობაზეც გაიწევდა, მაგრამ დევშაკი თავადაა მილეწილიც და დაბერებულიც. ბოლო ორ სეზონში მან 164 თამაშიდან 65 გამოტოვა, თანაც მარტში 36 წლისა სრულდება და პატ რაილის შეურყეველი ოპტიმიზმის მიუხედავად, საეჭვოა, 2006 წლის საჩემპიონო სვლა გაიმეოროს. გუნდის ახალგაზრდა ლიდერი დუეინ ვეიდიც ვერაა ჯანსაღად, მუხლის ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაციის კურსს გადის და ბარე ერთი თვე ვერ ითამაშებს. რაილიმ ერთი კარგი გაცვლა გააკეთა — ბებერი ანტუან უოლკერი „მინესოტაში" გაუშვა, მას ორი ბალასტ-მოთამაშეც გააყოლა და იქიდან ორი ნორმალური კალათბურთელი — რიკი დევისი და მარკ ბლუნტი წამოიყვანა. დევისი ეცდება, ყოველ თამაშში ასე ოციოდე ქულა აკეთოს და ვეიდის გამოჯანმრთელებამდე გაწიოს მთავარმექულის ჭაპანი, ბლუნტი კი ცენტრი გახლავთ და იგი შაკილ ონილის დამზღვევია. ზაფხულში „ჰითი" დატოვეს ვეტერანებმა — გერი პეიტონმა, ედი ჯონსმა და ჯეისონ კაპინომ. ალონზო მურნინგი კი დარჩა — კიდევ ერთხელ ვცდი გაჩემპიონებასო. გაუჭირდება.



ამბობენ, კლივლენდელი ლებრონ ჯეიმსი სასწაულ ჭაბუკაო



ეროვნული ბიბლიოთეკა

„ორლანდოს" ცენტრ დუაიტ ჰოვარდს აღმოსავლეთში საუკეთესო მეფარეობაზე აქვს პრეტენზია

### შარლოტ ბობქეთსი

**ლიდერები: ჯეისონ რიჩარდსონი, ჯერალდ ვოლესი, ემეკა ოკაფორი**
**მწვრთნელი: სემ ვინსენტი**

შარლოტელებმა სეზონთაშორის პერიოდში ერთი მძლავრი მექულე იშოვეს, „გოლდენ სტეიტს" ააცალეს თავისუფალი აგენტი ჯეისონ რიჩარდსონი, რომელსაც ლიდერად დაისვამენ. შემდეგ შეინარჩუნეს საკუთარი თავისუფალი აგენტი, დაცვაში თამაშის სპეციალისტი ჯერალდ ვოლესი. ამას ისიც მოჰყვა, რომ გამოუჯანმრთელდათ სლოვენიელი ცენტრი პრიმოჟ ბრეზეცი. მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც საეჭვოა, გუნდმა წლეულს მაინც შეძლოს თავისი პირველი პლეი ოფისთვის ბრძოლა. აღმოსავლეთში საშუალო გუნდების რიცხმა იმატა და სავარაუდოდ, ისევ „შარლოტი" დარჩება გარეთ. ჯერ ვერც ნიჭიერი ადამ მორისონი გააწყობს რაიმეს. ის სერიოზული თამაშებისთვის ჯერ ძალზე ახალგაზრდა და არასაიმედოა.

### ატლანტა ჰოქსი

**ლიდერები: ჯო ჯონსონი, ჯოშ სმიტი, მარვინ უილიამსი, ზაზა ფაჩულია**
**მწვრთნელი: მაიკ ვუდსონი**

ზაზა ფაჩულიას გუნდს ალბათ ყველაზე უგერგილო ხელმძღვანელობა ჰყავს მთელ აღმოსავლეთ კონფერენციაში. „ქორებს" წლების განმავლობაში სჭირდებათ ხეირიანი გამთამაშებელი და ამ პრობლემას ვერაფრით დაადგეს საშველი. ბურთის სროლაც და გათამაშებაც ისევ ორ მეტრს აცილებულ ჯო ჯონსონს მოუწევს და მას ალბათ დიდად ვერ შეეშველება წლევანდელ დრაფტზე პირველი რაუნდის შუაწელს აყვანილი ეისი ლოუ და ამ მხრივ რომ არც ვეტერანი ტაირონ ლუა ღვთიური საჩუქარი, ამაში ვუდსონიც და სხვებიც კარგა ხნის წინ უნდა დარწმუნებულიყვნენ. სამაგიეროდ, მათ დრაფტზე მესამე ნომრად აიყვანეს მძიმე ფორვარდი ალ ჰორფორდი, რომლის ამპლუის მოთამაშეც, წინა წლებში ასევე დრაფტზე აყვანილი ვითომ პოტენციური ვარსკვლავები, არაერთი ჰყავთ. „ატლანტა" თავისი ახალგაზრდული ასაკით ძალზე ძნელი დასაჯაბნია ფიზიკურად, მაგრამ ამ გუნდს ეს ვერ დაეხმარება რვაწლიანი უპლეიოფო გარღვევის დასაკერებლად.

ჩვენებური ზაზა ფაჩულია კი „ატლანტა ჰოქსში" მესამე, სულ ნბა-ში კი მეხუთე სეზონს იწყებს. სავარაუდოდ, ის კვლავ სასტარტო ხუთეულის წევრი იქნება.

**კოტე ყორშია**



# ყოჩების მწვრთნელს მოედანი არ ეთმობა

## თასის მომგები ჩემპიონობაზეც ფიქრობს

**ორი წელია, რაც ნიკო ჭავჭავაძე „ყოჩებს" სათავეში ჩაუდგა და ძირითადად ახალგაზრდებით დაკომპლექტებულ გუნდს საქართველოს თასი მოაგებინა. ნიკო მოთამაშე-მწვრთნელია და გაჭირვების ჟამს თავისი ბიჭების პირველი მიმხმარებელ-გამმხნევებელიც გახლავთ. ქუთაისში გამართული თასის ფინალის მეორე ტაიმში „ყოჩების" შეჭირვებულ შერკინებას ამოუდგა ბურჯად და, როგორც მორაგბემ წვლილი შეიტანა სამწვრთნელო კარიერის პირველ მნიშვნელოვან წარმატებაში. თასის მომგებ მწვრთნელს განვლილი მატჩის პერიპეტიებზე და სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ...**

**— ნიკო, როგორი შეხვედრა გამოდგა თასის ფინალი და ელოდით თუ არა, რომ საკმაოდ ადვილად დაამარცხებდით მეტოქეს?**

— მიუხედავად იმისა, რა შთაბეჭდილებაც დარჩათ მაყურებლებს და რა შედეგიც დაფიქსირდა, შეხვედრა დაძაბული და ფინალის შესაფერისი იყო. ამაში ამინდმაც თავისი როლი ითამაშა. თავიდანვე ღია და გაშლილ ბურთაობას ვაპირებდით, რამაც პირველ ნახევარში შედეგიც გამოიღო, მაგრამ შემდეგ უკვე სველი ბურთის ხელიდან გავარდნას მოვერიდეთ და თამაშიც უფრო ჩავხურეთ, რითაც სანახაობრივმა მხარემ იზარალა, მაგრამ ფინალური შეხვედრა იყო და შედეგისთვის ყველა საჭირო გზები უნდა გამოგვენახა.

**— ამ სეზონში „ლოკომოტივს" უკვე მესამედ მოუგეთ, არადა, რკინიგზელების დამარცხება არცთუ ადვილი საქმეა. რამე განსაკუთრებულ ხერხს ხომ არ ფლობთ მათ წინააღმდეგ?**

— „ლოკომოტივი" ჩვენი ძველი მეტოქეა. წარმატების საიდუმლოც ამაშია. ზედმიწევნით კარგად ვიცნობთ ერთმანეთს და ამიტომაც არ გვიჭირს მათთან თამაში. ყველას მოეხსენება, თუ რაოდენ ტიტულიანი გუნდია „ლოკომოტივი", მაგრამ ბიჭებს პირველ რიგში ვუთხარი, რომ სახელის არ შეშინებოდათ და ხალასი თამაში ეჩვენებინათ.

**— ვიცით, რომ წარმატება ადვილად არ მოსულა, შენ თითქმის დეზორგანიზებულ გუნდს ჩაუდექი სათავეში და გამარჯვებებს მოწყურებული „ყოჩები" გარკვეულ სიმაღლეზეც აიყვანე...**

— „ყოჩების" მწვრთნელად 2006 წელს დავინიშნე. გუნდში 5-6 ძველი მოთამაშე იყო დარჩენილი, კოლექტივის დიდ ნაწილს 20-21 წლის მორაგბეები შეადგენდა. მას მერე ბიჭებმაც და მეც ბევრი ვიმუშავეთ და ვფიქრობ, თასიც დამსახურებულად მოვიგეთ.

**— ასეთი ახალგაზრდული გუნდიდან საქართველოს მთავარ ნაკრებში ხომ არავინ მოიაზრება?**

— ვინც ახლა ჩემს გუნდში თამაშობს, ვგულისხმობ ახალგაზრდებს, თითქმის ყველა ასაკობრივ ნაკრებში ირიცხებოდნენ, ამიტომ, მიუხედავად მცირე ასაკისა, ზურგს დიდი გამოცდილება უმაგრებთ. შემიძლია დავასახელო რამდენიმე მორაგბე, რომელნიც შეიძლება, გაისინჯნენ სანაკრებოდ. ესენი არიან: კახა ასეიშვილი, ბაჩო ყალიჩავა, ბექა შეყლაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, ირაკლი გეგენავა და ეს კიდევ არასრული სიაა.

**— საჩემპიონატო გეგმებზეც მოგკითხავ...**

— პლეი ოფში აუცილებლად გავალთ და, სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე, ალბათ „ლელოს" დავეჯახებით. არ დაგიმალავთ და ვიტყვი, დიდი სტიმული მოგვცა თასის მოგებამ, ჩემპიონობასაც ვგეგმავთ, მაგრამ რამდენად გამოგვივა, ამას ვერ მოგახსენებთ.

**— მოთამაშე-მწვრთნელი ხარ, როდემდე აპირებ მოთამაშის ამპლუაში ყოფნას?**

— ჯერჯერობით არ ვაპირებ აქტიური სპორტიდან წასვლას. ისე გამოვიდა, რომ ახლა მწვრთნელი ვარ, მუშაობის პროცესის დროს კი ძნელია თან ვარჯიში და თან მორაგბეთა დარიგება, შეიძლება, რაღაც ნიუანსები გამოგვეპაროს. ამიტომ ველარ ვახერხებ სისტემატურად ვარჯიშს, თორემ ჩემი შესაძლებლობებით კიდევ დიდხანს ვეცდები, დავეხმარო „ყოჩებს".

**ზურაბ მიგრიაული**



# ოქროს გუნდის ოქროს ფინიში

## ბელარუსული ტატამის ქართული სიხარული

**ქართველმა** ძიუდოისტებმა 2007 წლის სეზონი ისეთივე რიხით დააგვირგვინეს, გაზაფხულზე, ევროპის პირად ჩემპიონატზე რომ დაიწყეს. შოთა ხაბარელის გუნდმა წლეულს ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა. ორი დღის წინ კი ევროპის გუნდურ პირველობზეც გაპირველდა. ტურნირი ბელარუსის მთავარქალაქ მინსკში 27 ოქტომბერს გაიმართა და საქართველოს ნაკრებმა ჩემპიონობა ბოლო ოთხ წელიწადში მესამედ მოიპოვა. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ გუნდურ ჩათვლაში ჩვენი გუნდი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია და შარშან მოგებულ ამ ტიტულს მინიმუმ 2010 წლამდე ვერავინ შეეცილება.

ერთდღიან ბელარუსულ შეჯიბრში ევროპის ექვსმა ნაკრებმა მიიღო მონაწილეობა. საქართველო პოლონეთისა და რუსეთის ბადეში მოხვდა, ხოლო მეორე მხარეს ბელარუსი, უკრაინა და საფრანგეთი დაეჭიდნენ ერთმანეთს ფინალის საგზურისთვის.

კენჭისყრამ რუსეთი პირდაპირ ნახევარფინალში ჩასვა. მასთან შესახვედრად კი საქართველო და პოლონეთი დადგნენ პირისპირ. პოლონელები ევროპის ჩემპიონატის განაცხადში ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მოხვდნენ, მას შემდეგ, რაც უნგრელებმა უარი თქვეს პოლონელებმა ნაჩუქარი საგზური ვერ შეირგეს და ტატამზე არასრული გუნდით გავიდნენ. 81 კილოგრამი თავისუფალი ჰქონდათ და, შესაბამისად, გიორგი ბაინდურაშვილმა მოგება უბრძოლველად ჩაიწერა. დანარჩენ ექვს წონაში კი ხაბარელის შეგირდებმა 4:1 იმარჯვეს. მინდია ხომიზური (73 კგ), ირაკლი ცირეკიძე (90 კგ) და ლევან ჟორჟოლიანი (100 კგ) მეტოქეებს იპონებით გაუსწორდნენ, ლაშა გუჯეჯიანი (+100 კგ) — ქულებით. ნესტორ ხერგიანისა (60 კგ) და კრეჩილევსკის შეხვედრა ფრედ დასრულდა, ხოლო ზაზა კედელაშვილი მოულოდნელად კოვალსკისთან წმინდად დამარცხდა.

კედელამ ვერც რუსეთთან იყოჩაღა. ადამ გადანოვთანაც წააგო, ოღონდ იპონის გარეშე. საბედნიეროდ, ამ წონის გარდა, ჩრდილოელებმა ერთი ქულაც ვერ აიღეს. ჩვენებურთა შემადგენლობაში ორი ცვლილება მოხდა. მწვრთნელმა ხერგიანი ბეთქილ შუკვანით ჩაანაცვლა, ბაინდურაშვილი — შინჯიკაშვილით. ჰოდა, ორივე ახალმა კაცმა წმინდად მოიგო. შუკვანმა მუსლიმოვი გააკრა ბეჭებზე, შინჯიკაშვილმა — მაგომედოვი. 90 კილოგრამში ცირეკიძემ მახმადოვი დააიპონა, გუნდს ფინალის საგზური გაუნაღდა და ჟორჟოლიანი და გუჯეჯიანი უსაქმოდ დატოვა. მეორე ფინალისტი საფრანგეთი გახდა, მას შემდეგ, რაც უკრაინის მძლეველ ბელარუსს 5:2 აჯობა.

ოქროს ბრძოლა ქართველებისთვის ცუდად დაიწყო. ხერგიანმა სოიერთან ქულებით წააგო, კედელაშვილი — ამოროს ბრძოლა კი ფრედ დასრულდა. მდგომარეობა დავით ქევხიშვილის ტრავმის გამო 73 კილოგრამში ანაცვლებულმა ხომიზურმა გამოასწორა, რემილიენის ძლევით. მერე შინჯიკაშვილმა კლერგეს აჯობა, ცირეკიძემ კი — ფიჩოს, ხოლო ჟორჟოლიანი და გუჯეჯიანი მარესა და ბონვუასინთან დამარცხდნენ და საერთო ანგარიში 3:3 გახდა, თუმცა ქართველებისთვის საჩემპიონოდ ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რადგან შვიდი შეხვედრის წვრილქულებით 19:18 მოიგეს.

მესამე საპრიზოზე მასპინძლები და რუსები გავიდნენ, პოლონეთისა და უკრაინის ძლევით.

მინსკის ევროპირველობით საერთაშორისო სეზონი შვიდი წონითი კატეგორიიდან ექვსმა დაასრულა. წლის ბოლოს ტატამზე გასვლა მხოლოდ მძიმეწონოსნებს მოუწევთ ევროპის აბსოლუტურ პირველობაზე.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ჩიკაგოური ხადურ-წიკლაური

**ჩიკაგოში** მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატს სამი ქართელი მოკრივე შემორჩა. ლევან ღვამიჩავას (64კგ) მერვედფინალში გასვლაზე გუშინ დავწერეთ. ზვიად ხადურისა (48კგ) და დავით წიკლაურის (81კგ) თექვსმეტ საუკეთესოში მოხვედრა კი ახალი ამბავია. ამ სამეულს პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიას ერთადერთი გამარჯვება აშორებს.

წუხელ ხადურმა ინგლისელ დარენ ლანგლისთან უმძიმესი ბრძოლა გადაიტანა და ეს ანგარიშიდანაც კარგად ჩანს — 21:18. ჩვენებურმა პირველ და მეოთხე რაუნდებში იმარჯვა (7:2 და 3:1), მესამე-მეოთხე რაუნდები კი ფრედ დასრულდა (7:7 და 6:6). მეოთხედფინალში გასასვლელ შეხვედრას ხადური 31 ოქტომბერს ჩაატარებს სომეხ ჰოვანეს დანიელიანთან.



დავით წიკლაურმა მერვედფინალში გააღწია

31-ში ჩატარდება 81 კილოგრამის მერვედფინალებიც. დავით წიკლაურს ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტთან, რუს არტურ ბუტერბიევთან მოუწევს შებრძოლება. წუხელ კი დავითმა მექსიკელი ჯოშუა გარზა ლეველინი დაჩაგრა — 29:16 (4:4 7:4 12:3 6:5).

თექვსმეტში შესვლა ვასილ ყაზიშვილსაც (60კგ) შეეძლო, მაგრამ ინდოელ ჯეი ჰკვანთან თანაბარ ბრძოლაში დამარცხდა — 16:23 (3:4 5:6 5:7 3:6).

**ოთარ მაღლაკელიძე**


სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42ა, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# სარეიტინგო ადი-ჩადი

გუშინ გამოქვეყნებულ პროფესიონალ ჩოგბურთელთა მორიგ რეიტინგებში ქართველ ჩოგბურთელთა პოზიციები ფაქტობრივად არ შეცვლილა. კაცთა კლასიფიკაციაში კვლავაც ხუთი ჩვენებურია, ხოლო ქალთაში — ათი და ბოლო ერთი კვირის მაჩვენებლებით მათმა მდგომარეობამ უმნიშვნელო ცვლილებები განიცადა.

| კაცები | |
|---|---|
| 353 (+1) ლადო ჩიხლაძე | 94 |
| 939 (+5) ირაკლი ლაბაძე | 9 |
| 1236 (+4) ნოდარ ითონიშვილი | 3 |
| 146 (+4) გიორგი ხრიკაძე | 1 |
| 1461 (+4) გიორგი ჭანტურია | 1 |
| **ქალები** | |
| 167 (-5) მაკა ჩახნაშვილი | 189,5 |
| 273 (0) ანა ტატიშვილი | 90,75 |
| 420 (+6) სოფო შაფათავა | 43,0 |
| 557 (+1) სალომე დევიძე | 26,0 |
| 608 (+1) თინა ყაველაშვილი | 21,0 |
| 625 (+1) ოქსანა კალაშნიკოვა | 19,5 |
| 631 (+9) მანანა შაფაქიძე | 19,0 |
| 728 (+5) სოფო მელიქიშვილი | 13,5 |
| 742 (+6) სოფო ქვაცაბაია | 13,0 |
| 813 (+2) ეკა გორგოძე | 10,0 |

## კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7205 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5385 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 4470 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 3250 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 2430 |
| 6. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2130 |
| 7. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2110 |
| 8. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1965 |
| 9. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1905 |
| 10. ტომი ჰაასი (გერმანია) | 1870 |
| 11. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1735 |
| 12. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1705 |
| 13. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1680 |
| 14. გილერმო კანასი (არგენტინა) | 1678 |
| 15. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 1675 |
| 16. კარლოს მოია (ესპანეთი) | 1620 |
| 17. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 1455 |
| 18. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1445 |
| 19. პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) | 1390 |
| 20. ხუან მონაკო (არგენტინა) | 1385 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 1291 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 1037 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 893 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 530 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 466 |
| 6. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 425 |
| 7. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 380 |
| 8. ტომი ჰაასი (გერმანია) | 329 |
| 9. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 328 |
| 10. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 327 |
| 11. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 326 |
| 12. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 322 |
| 13. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 321 |
| 14. კარლოს მოია (ესპანეთი) | 316 |
| 15. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 315 |
| 16. გილერმო კანასი (არგენტინა) | 299 |
| 17. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 289 |
| 18. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 284 |
| 19. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 275 |
| 20. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 273 |

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 5930 |
| 2. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3750 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3475 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3161 |
| 5. სერენა უილიამსი (აშშ) | 2767 |
| 6. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2666 |
| 7. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2660 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2470 |
| 9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 2242 |
| 10. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 2161 |
| 11. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2022 |
| 12. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1941 |
| 13. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1906 |
| 14. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1899 |
| 15. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1906 |
| 16. დინარა საფინა (რუსეთი) | 1830 |
| 17. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1806 |
| 18. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1675 |
| 19. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1502 |
| 20. აგნეს სჟავაი (უნგრეთი) | 1332 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 5405 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 4097 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3691 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3163 |
| 5. სერენა უილიამსი (აშშ) | 2767 |
| 6. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2698 |
| 7. ვინუ უილიამსი (აშშ) | 2470 |
| 8. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 2431 |
| 9. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2431 |
| 10. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 2224 |
| 11. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2023 |
| 12. დინარა საფინა (რუსეთი) | 1973 |
| 13. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1941 |
| 14. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1936 |
| 15. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1919 |
| 16. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1864 |
| 17. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1699 |
| 18. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1538 |
| 19. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1497 |
| 20. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1372 |



# ვინ იქნება მეოთხე?

## ფედერერმა ოთხი წელი გადათვალა

**მორიგი** საჩოგბურთო სეზონის დასრულებამდე სულ რაღაც ორი კვირაღა დარჩა — შემდეგ არა და, მომდევნო ორშაბათს შანხაიში წლის შემაჯამაბელი ტურნირი დაიწყება, რომლის დასრულების შემდეგაც ახალ წლამდე ჩოგანს აღარავინ მოჰკიდებს ხელს. ჩინეთში წამსვლელი რვა მეჩოგნის ვინაობა კი მთლიანად ჯერ არ გარკვეულა და ბრძოლა გრძელდება.

მოლოდინისამებრ, ბაზელში როჯერ ფედერერის დამჩაგვრელი არავინ გამოინახა. როჯერმა ფინალში იარკო ნიემინენს 62 წუთში გადაურბინა და ცაცია ფინელი უკვე მერვეჯერ გაკრა ბეჭებზე. ამ გამარჯვებით „მხიარულმა როჯერმა" მშობლიურ კორტებზე ტიტულიც დაიცვა და თან წელიწადის რეიტინგის სათავეში დასრულებაც გაინაღდა. ზედიზედ მეოთხე სეზონია, ალპელი ამას ახერხებს. 1973 წლიდან მოყოლებული, ანუ რაც რეიტინგი გამოიგონეს, წლის ამდენჯერ პირველ ნომრად დასრულება მხოლოდ ოთხ დიად ჩოგბურთელს მოუხერხებია (ჯიმი კონორსი, ჯონ მაკინროი, ივან ლენდლი და პიტ სამპრასი). ფედერერისთვის ბაზელური ტიტული სეზონში მეშვიდე გამოდგა. გარდა ამისა, შვეიცარიელს კარიერაში 546 მოგება დაუგროვდა, რაც მოქმედ მეჩოგნეთა შორის საუკეთესო შედეგია (მეორე ადგილზე კარლოს მოიაა 543 გამარჯვებით).

ახლა კი ისევ შანხაიში მოსახვედრად გაჩაღებულ ბრძოლას მივუბრუნდეთ. წინა კვირას ჩინეთში წასვლა დავიდ ფერერმა გაინაღდა და შედეგად ახლა მხოლოდ ორი თავისუფალი ადგილიღაა დარჩენილი, რომლებზეც ცხრა ჩოგბურთელი აცხადებს პრეტენზიას. ამათგან საუკეთესო მდგომარეობაში ფერნანდო გონსალესია, ვისაც 380 ქულა აქვს და რეიტინგში მერვეზე მყოფ ტომი ჰაასს მთელი 51 ქულით უსწრებს. ჩილელს პარიზის მასტერსზე ერთი-ორი წრის გავლა თავისუფლად ეყოფა მიზნის მისაღწევად.

აი, დარჩენილი ერთი ადგილისთვის კი საფრანგეთის დედაქალაქში ისეთი ბრძოლა გაჩაღდება, დედა შვილს არ აიყვანს. ასე განსაჯეთ, ჰაასსა და მე-15 ადგილზე მყოფ ივან ლიუბიჩიჩს მხოლოდ 13 ქულა აშორებთ. ამიტომაც შანხაიში ის გაემგზავრება, ვინც პარიზში უკეთ ითამაშებს.

ამ ბრძოლაშია ჩართული ენდი მიურეიც, რომელმაც სანკტ პეტერბურგის ტურნირის მოგებით თავისი შანსები სერიოზულად გაიმყარა. იქ ახალგაზრდა ბრიტანელმა საკმაოდ იოლად იხეირა, გადამწყვეტ მატჩში კი ფერნანდო ვერდასკოს გადაუარა — 6:2 6:3. მიურეი ჰაასს ახლა მხოლოდ სამი ქულითღა ჩამორჩება.

ლიონში კი, შარშანდელისა არ იყოს, ისევ წმინდად ფრანგული ფინალი გაიმართა. მარკ ჟიკელმა ზედიზედ მეორედ უწია მშობლიური ტურნირის გადამწყვეტ მატჩს, მაგრამ ბოლო ნაბიჯი ამჯერადაც ვერ გადადგა. შარშან ის რიშარ გასკემ დაიბრიყვა, ორიოდ დღის წინ კი სებასტიან გროჟანმა დაჯაბნა. სხვათა შორის, ამ უკანასკნელისთვის ეს ბოლო ხუთ წელიწადში მოგებული პირველი ტიტულია.

აი, ქალებმა კი ყველა იმ საუკეთესო რვა მეჩოგნის ვინაობა გაარკვიეს, ვინც მადრიდში წლის შემაჯამებელ ტურნირზე ითამაშებს. ბოლო ადგილი დანიელა ჰანტუხოვამ მოიპოვა, რომელმაც ლინცში შთამბეჭდავად ითამაშა და სეზონის საუკეთესო ჩოგბურთელთა შორის მოხვედრა დაიმსახურა. სლოვაკმა ლამაზმანმა ფინალში ადვილად დაჯაბნა პატი შნიდერი, რეიტინგში მერვეზე მყოფ მარია შარაპოვას გაუტოლდა და რუსი პრიმა კინაღამ ამ პრესტიჟული ტურნირის მიღმაც დატოვა.

თუმც საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ მადრიდში ორივე ითამაშებენ, სლოვაკიცა და რუსიც. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც ვინუს უილიამსმა ტრავმის გამო პირინეებზე თამაშზე უარი განაცხადა.

**კახა ლომჯაშვილი**

ჭადრაკი

ევროპის გუნდური ჩემპიონატი. კრეტა. საბერძნეთი. 27 ოქტომბერი — 7 ნოემბერი

# ქალებმა წააგეს, კაცებმა მოიგეს

**პირველივე** ტურში ჩვენთვის სამწუხარო სენსაცია მოხდა. საქართველოს ქალთა ნაკრები, რომელიც ჩემპიონატის ფავორიტად მიიჩნეოდა, ლიტვის საშუალო გუნდთან 2,5:1,5 დამარცხდა. პირველ დაფაზე მაია ჩიბურდანიძემ შავი ფიგურებით ვიქტორია ჩმილიტესთან წააგო, მეორეზე კი ლელა ჯავახიშვილმა თეთრებით — დეიმანტ დაულიტესთან. მესამე დაფაზე მოთამაშე ნანა ძაგნიძემ შავებით სალომია ზაკსაიტს გაუყო ქულა, მეოთხეზე კი მაია ლომინეიშვილმა თეთრებით დაივა ბატიტეს მოუგო და გუნდი მშრალ წაგებას გადაარჩინა.

პარტია ლომინეიშვილმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო, ცენტრში მსუბუქი ფიგურები გამოუშვა და შავებს მარცხნიდან შეუტია. ლიტველმაც საპასუხოდ იერიშებს მიმართა, თუმც მანევრებში ქართველს ვერ აჯობა და 34-ე სვლაზე პაიკი დაკარგა. დაწინაურებულმა ლომინეიშვილმა შეტევებს უფრო თამამად მიმართა, ბატიტეს ფიგურებს გასაქანი არ მისცა და 47-ე სვლაზე მოიგო.

გაგვახარეს კაცებმა. მათ ისლანდიის გუნდი დაამარცხეს 3,5:0,5. პირველ დაფაზე ბაადურ ჯობავამ თეთრებით ჰედინ სტეინგრიმსონს მოუგო, მეორეზე თამაზ გელაშვილი შავებით ჰენრიკ დანიელსენს დაუზავდა, მესამეზე თეთრებით ლევან ფანცულაიამ შტეფან კრისტიანსენთან იმარჯვა, მეოთხეზე კი დავით არუთინიანმა შავებით სროსტარ სოროლსონი დაამარცხა.

**ლუკა გეგეჭკორი**

## მთის თხილამურობა



აქსელ ლუნდ სვინდალმა ახალი სეზონი გამარჯვებით დაიწყო

# თეთრი ცირკის 42-ე სეზონი

**გასულ** უქმეებზე ავსტრიულ ზოლდენში დაიწყო და გაისად მარტში იტალიურ ბორმიოში დასრულდება მთის მოთხილამურეთა მსოფლიოს თასის რიგით 42-ე გათამაშება.

როგორც კაცთა, ისე ქალთა პროგრამაში 40-40 ეტაპია, ოღონდაც სახეობათა მიხედვით მცირე განსხვავებაა. კაცთა 40 ეტაპი 10 სწრაფდაშვებას, 7 სუპერგიგანტს, 5 კომბინაციას, 7 გიგანტურ სლალომსა და 11 სლალომს მოიცავს, ხოლო ქალების პროგრამაში 11 სწრაფდაშვება, ამდენივე სლალომი, 8 გიგანტური სლალომი, 7 სუპერგიგანტი და 3 კომბინაციაა.

ზოლდენის შემდეგ, 10-11 ნოემბერს, ფინურ ლევიში სლალომის ეტაპი ჩატარდება, შემდეგ კი „თეთრი ცირკი“ ჩრდილოეთ ამერიკაში გადაბარგდება და ნოემბრის ბოლოსა და დეკემბრის დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებსა (ბევერ კრიკი, ასპენი) და კანადაში (ლეიკ ლუისი, პანორამა), ერთბაშად კაცთა ექვსი და ქალთა შვიდი შეჯიბრია დაგეგმილი. კიდევ ერთი ჩრდილოამერიკული გასვლა, კერძოდ კი, კანადურ ვაისტლერში, თებერვლის ბოლოს იქნება, დანარჩენ დროს კი მოთხილამურეები ევროპაში გაატარებენ და ავსტრიას, იტალიას, შვეიცარიას, გერმანიას, ხორვატიას, ნორვეგიას, სლოვენიასა და ჩეხეთს ეწვევიან.

ახალი სეზონის ფავორიტებად ისევ ძველი სახეები მიიჩნევიან: კაცებში ამერიკელი ბოდე მილერი, ავსტრიელი ბენჯამინ რაიხი და ნორვეგიელი აქსელ ლუნდ სვინდალი, ხოლო ქალებში — შვედი ანია პერსონი, ავსტრიელები ნიკოლ ჰოსპი და მარლიზ შილდი და ამერიკელები ჯულია მანკუზო და ლინდსი კილდოუ, ვინც სეზონათაშორის პერიოდში გათხოვდა და ახლა ვონის გვარით გამოდის.

ზოლდენში თავდაპირველად ქალებმა მოსინჯეს ძალები და ფავორიტებს იტალიელმა დენიზ კარბონმა აჯობა, ვისთვისაც ეს მსოფლიოს თასის ეტაპებზე მოპოვებული მეორე გამარჯვება იყო. არადა, პირველი დაშვების შემდეგ კარბონი 17 მეასედი წამით ჩამორჩებოდა გიგანტურ სლალომში მსოფლიოს 2005 წლის ჩემპიონს, ფინელ ტანია პოუტიაინენს, მაგრამ მეორე ცდაზე ტანიამ ვერ ივარგა და საბოლოო ჯამში სამეულშიც კი ვერ მოხვდა.

კარბონმა სტაბილურობის ხარჯზე მოიგო. მეორე დაშვებისას მან მხოლოდ მეშვიდე დრო აჩვენა, მაგრამ ჯამში უახლოესი მდევარი, მანკუზო, მთელი 0,33 წამით ჩამოიტოვა. პერსონი მხოლოდ მერვე იყო, ჰოსპი — მეთორმეტე, ხოლო ვონმა მეცამეტე ადგილი დაიკავა.

კაცებში საუკეთესო შედეგი მსოფლიოს თასის მოქმედმა მფლობელმა, აქსელ ლუნდ სვინდალმა აჩვენა. ნორვეგიელი პირველი დაშვებისას 1,17 წამით ჩამორჩა საუკეთესო დროის მქონე ამერიკელ ტედ ლიგეტის, მაგრამ მეორე ცდისას იდეალურად ჩაისრიალა და ჯამში ამერიკელს 0,32 წამი მოუგო. მესამე ფინელი კალე პალანდერი იყო და შემდეგ რაიხი და მილერი მოდიან. აღსანიშნავია, რომ მილერი, ბუნებრივია, ამერიკის შეერთებული შტატების სახელით ასპარეზობს, მაგრამ ამერიკელთა ნაკრებში აღარ ირიცხება.

**მსოფლიოს თასი. ზოლდენი. ავსტრია. 27-28 ოქტომბერი**

**კაცები. გიგანტური სლალომი**

| | |
|---|---|
| 1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 2.17,87 (1.08,89+1.08,98) |
| 2. ტედ ლიგეტი (აშშ) | 2.18,19 (1.07,72+1.10,47) |
| 3. კალე პალანდერი (ფინეთი) | 2.18,26 (1.07,92+1.10,34) |
| 4. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 2.18,53 (1.08,30+1.10,23) |
| 5. ბოდე მილერი (აშშ) | 2.18,93 (1.09,65+1.09,28) |

**ქალები. გიგანტური სლალომი**

| | |
|---|---|
| 1. დენიზ კარბონი (იტალია) | 2.23,21 (1.09.97+1.13,24) |
| 2. ჯულია მანკუზო (აშშ) | 2.23,54 (1.10,79+1.12,75) |
| 3. კატრინ ზეტელი (ავსტრია) | 2.23,73 (1.11,54+1.12,19) |
| 4. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 2.23,78 (1.09,80+1.13,98) |
| 5. ტეზა ვორლეი (საფრანგეთი) | 2.23,96 (1.11,44+1.12,52) |

## ფიგურული ციგურაობა

# გედევანიშვილის თავისუფალი „ნახტომი“

**ამერიკაში** დასრულებული სეზონის პირველ გამორჩეულ ეტაპზე, „სკეიტ ამერიკაზე“ ჩვენმა ელენე გედევანიშვილმა თერთმეტ მოციგურავეში მე-6 ადგილი დაიკავა. „სკეიტ ამერიკა“ ფიგურული სრიალის საერთაშორისო კავშირის (ISU) გრან პრის პირველი ეტაპია და გვარიანად პრესტიჟულადაც ითვლება.

ტურნირამდე სპეციალისტები ელენე გედევანიშვილს სწორედ მე-6 ადგილს უწინასწარმეტყველებდნენ, რადგან რუსეთიდან ელენეს ოჯახის დეპორტაციის შემდეგ ჩვენს მოციგურავეს ჩავარდნა ჰქონდა და ახლაღა იბრუნებს ჩვეულ ფორმას.

პირველი დღის, ანუ მოკლე პროგრამის შემდეგ 17 წლის ქართველს მხოლოდ 38,30 ქულა ჰქონდა და ბოლო ადგილზე იყო. ლიდერობით კი ამქარს ამერიკელი კიმი მაისნერი (59,29) უსტაბაშობდა. თავისუფალ პროგრამაში ელენემ გაილაღა, ფრანგი კომპოზიტორის ფრანსის ლეის ცნობილი საუნდტრეკის „სიყვარულის ისტორიის“ ჰანგებზე დამაჯერებლად ისრიალა, 87,76 ქულა მოაგროვა და ჯამური 126,06 ქულით მეექვსე ადგილი დაიკავა. არადა, აქამდე გედევანიშვილი მოკლე პროგრამით აგროვებდა ჰანდიკაპს და თავისუფალი სრიალი ნაკლებად გამოსდიოდა.

ტურნირი მასპინძელმა კიმი მაისნერმა (163,23) მოიგო, ვერცხლი იაპონელ მსოფლიოს ჩემპიონს მიკა ანდოს (161,89) დარჩა, ხოლო ბრინჯაო ამერიკელთა ამომავალ ვარსკვლავს კაროლინ ჩჟენს (153,35) ერგო.

**ბაჩო სვანიძე**



## ბარის თხილამურობა

**მსოფლიოს თასი. დიუსელდორფი. გერმანია. 27-28 ოქტომბერი**

**კაცები**

**პირადი სპრინტი. 1,5 კმ. თავისუფალი**

1. იოზეფ ვენცლი (გერმანია); 2. ბიორნ ლინდი (შვედეთი); 3. იონ კრისტიან დალი (ნორვეგია); 4. პეტერ ნორტუგი (ნორვეგია); 5. მარკუს ჰელნერი (შვედეთი)

**გუნდური სპრინტი. 6X1,5 კმ. თავისუფალი**

| | |
|---|---|
| 1. შვედეთი-I (ტობიას ფრედრიკსონი, პეტერ ლარსონი) | 18.12,70 |
| 2. ნორვეგია-I (იოჰან კელსტალი, ტორ არნე ჰეტლანდი) | 18.13,20 |
| 3. შვედეთი- I (მარკუს ჰელნერი, ემილ იონსონი) | 18.15,90 |

**ქალები**

**პირადი სპრინტი. 0,8 კმ. თავისუფალი**

1. ნატალია მატვეევა (რუსეთი); 2. მარიტ ბიორგენი (ნორვეგია); 3. ანა დალბერგი (შვედეთი); 4. არიანა ფოლისი (იტალია); 5. სერაინა მიშოლი (შვეიცარია)

**გუნდური სპრინტი. 6X0,8 კმ. თავისუფალი**

| | |
|---|---|
| 1. შვედეთი-I (შარლოტა კალა, ბრიტა ნორგრენი) | 9.58,40 |
| 2. რუსეთი-I (ნატალია მატვეევა, ნატალია კოროსტელევა) | 9.59,90 |
| 3. ფინეთი-I (პირო მურონენი, ვირპი კუიტუნენი) | 10.00,60 |

## ჰოკეი

**რეგულარული ჩემპიონატი**

28 ოქტომბერი

**ვანკუვერი 2:3 დეტროიტი**

*1:2 1:1 0:0*

1:0 კუკი (6), 1:1 ჰოლმსტრომი (6), 1:2 სამუელსონი (20), 2:2 ნესლუნდი (36), 2:3 გუდლერი (39)

**კოლორადო 3:1 მინესოტა**

*1:1 1:0 1:0*

1:0 სმიტი (9), 1:1 ბელანჟე (16), 2:1 სვატოში (36), 3:1 ვოლსკი (60)

**ანაჰაიმი 2:3 ედმონტონი**

*0:1 1:0 1:1 0:0 (0:1 ბულიტებით)*

0:1 ჰემსკი (13), 1:1 კუნიცი (32), 2:1 პერი (48), 2:2 კოლიანო (59)



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუკრი ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ტორტლაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე
გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, თოარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge